ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 24 – 25 თებერვალი, 2018 №46 (7591) ფასი: 50 თეთრი

## ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის დაკავებულ ლადო გრიგალაშვილს პატიმრობა შეეფარდა



გვ.2

პროკურორი: „მკვლელობის იარაღი გრიგალაშვილის ავტოფარეხში იპოვეს“

23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

ყველაზე შორეული ზურგი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# „ივანიშვილი კვირიკაშვილის გასაშვებად საბაბს ეძებს“



„მთავრობის მეთაური ცდილობს, „ოცნებას“ გაემიჯნოს“

გვ.3



გიგლა ბარამიძე: „ოცნებაში“ რღვევის პროცესი დაიწყო“

„ვინც გარეული იყო ყველაზე ბინძურ უბედურებებში, დღეს მოსამართლედ უვადოდ დაინიშნა“

გვ.2





სოსო ბარათაშვილი: „პრემიერის განცხადება მოსამართლეების უვადო დანიშვნაზე დაგვიანებულია“

გვ.4

გიორგი მარგველაშვილი: „ცხინვალში ქართველი ჯარისკაცი, არჩილ ტატუნაშვილი მოკლეს“





გვ.4

სუსი ცხინვალისგან დამნაშავეების დასჯას ითხოვს

ეკონომიკა გვ.6

500 კილოგრამზე მეტი საეჭვო წარმომავლობის ხორცი განადგურდება





„როცა ამბობენ, რომ ბიზნესმენს სახელმწიფოზე უკეთესად შეუძლია რესურსების განაწილება, ეს გადასახადებზე თავის არიდების სქემაა“

ავტომატურად წყდება მძღოლთან ხელშეკრულება, თუ მგზავრს ეუბნება, რომ ტერმინალი არ გამოიყენოს და ნაღდი ფულით გადაიხადოს



ISSN 1987-9385

2 „არის იმის რისკი, რომ რაიმე ნეგატიურმა რყევამ დომინოს პრინციპით დასცეს საბანკო სისტემა“

5 ვახტანგ მაისაია: „ამერიკა და რუსეთი ახალი ცივი ომის პიკში არიან“

2 რას მოხმარდება „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების ხელში არსებული 400 მილიონი დოლარი?

5 დასანგრევია თუ არა ახალი შენობები

# „ვინც გარეული იყო ყველაზე ბინძურ უბედურებებში, დღეს მოსამართლედ უვადოდ დაინიშნა“

## ზაზა ხატიაშვილი: „ეს მოსამართლეები ივანიშვილის ხელისუფლებას ისევე ემსახურებიან, როგორც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე, უფლებადამცველი ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო ზაზა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლედ უვადოდ გამწესების მსურველი 44 მოსამართლე დაამტკიცა. მოსამართლეების შერჩევა ურთიერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობდა. რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?***

– როდესაც სააკაშვილმა ხელში ჩაიგდო ხელისუფლება, მაშინ გაჩნდა ინფორმაციები, რომ ფინანსურად მის უკან იდგა ბიძინა ივანიშვილი. შემდეგ შალვა ნათელაშვილი და სხვა პოლიტიკოსები ღიად ადებდნენ მას ხელს, რომ ის 7 ნოემბრის აქციის დარბევის დროსაც სააკაშვილის გვერდით იდგა. ამიტომ ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ადამიანის მიერ დაფინანსებული მოსამართლეები, პროკურორები და პოლიციელები, რომლებიც ძალადობდნენ სამოქალაქო საზოგადოებაზე, ყველა შეინარჩუნა.

***– რატომ მოხდა ასე?***

– დღევანდელმა ხელისუფლებამ, როცა ის ხელისუფლებაში მოვიდა, იფიქრა, რომ როდესაც მათ მოუნდებათ სიბინძურეების ჩადენა სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებით, მათ დასჭირდებათ ისეთივე ბინძური მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც ემსახურებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს. რა ტრაგიკომედიაა – 200-მდე პატიმარი გამოუშვეს პოლიტპატიმრის სტატუსით და ეს მოსამართლეები და პროკურორები დააწინაურეს! სწორედ ამან ქნა ის, რომ ეს ქვეყანა შევიდა უფრო მეტ ჭაობში, ვიდრე იყო სააკაშვილის რეჟიმის დროს.

როცა ხელისუფლებას დასჭირდა ძალადობა სამოქალაქო სექტორზე, აქ ჰყავს მურუსიძეები, ჩინჩალაძეები და ძმანი მათნი და ისინი არიან მოსამართლეებიც, პროკურორებიც, პოლიციელებიც.

***– და დღეს ასეთ მოსამართლეებს უვადოდ ნიშნავენ?***

– დიახ, ეს მოსამართლეები დღეს დააწინაურეს. ამ მოსამართლეებმა მიიღეს ხელშეუხებლობის გარანტია, ოღონდ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას მომსახურებოდნენ.

ყველამ ვიცით, რომ წინა არჩევნებში ნინო ბურჯანაძემ გადალახა 5%-იანი ზღვარი. მან შეიტანა დასაბუთებული მტკიცებულებები, რომ ერთ სოფელში, სადაც იყო ორი საარჩევნო უბანი, ერთ უბანზე რომ მიღებული ჰქონდა 25%, იმავე სოფელში მეორე უბანზე 0% იყო. ეს იყო ანომალია და ადასტურებდა, რომ ეს ოქმი გაყალბდა. ლევან მურუსიძის სასამართლომ და მიხეილ ჩინჩალაძის სასამართლომ ეს ყველაფერი



დატოვეს ისე, როგორც აწყობდა ხელისუფლებას.

ზოგადად მართლმსაჯულება მოჩვენებით ხორციელდება საქართველოში. ეს მოსამართლეები ივანიშვილის ხელისუფლებას ისევე ემსახურებიან, როგორც ემსახურებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს. არაფერი შეცვლილა.

***– ანუ მესამე და მეოთხე ტალღად წოდებული სასამართლო რეფორმა ჩავარდა?***

– ყველა ტალღის შემდეგ სასამართლოში უფრო ძლიერდებოდნენ დამნაშავე მოსამართლეები, რომლებიც იყვნენ სააკაშვილის რეჟიმის და შემდეგ ივანიშვილის ფეოდალური ხელისუფლების საყრდენები. ეს პროცესი გრძელდება და ეს არის კატასტროფული მოვლენა! ანა დოლიძემ გააშიშვლა სამოქალაქო საზოგადოების თვალში იუსტიციის საბჭო! შეიძლება, რომ ეს იუსტიციის საბჭო იყოს პასუხისმგებელი სასამართლო რეფორმაზე?!

***– სერიოზული ბრალდებები წამოვიდა ანა დოლიძის მისამართით.***

– ეს არის სიბინძურე და მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. ეს მოსამართლეები გაერთიანებული არიან ჩადენილი დანაშაულის დაფარვის გამო. ისინი ერთად არიან და არ დაუშვებენ, რომ რომელიმე მათგანი დაისაჯოს, იმიტომ რომ, თუ ერთი დაისაჯა, მაშინ ყველა დაისჯება.

ივანიშვილის ხელისუფლებამ უთხრა ამ მოსამართლეებს, თქვენ ნუ გეშინიათ, იყავით ადგილებზე, ჩვენ მოგვემსახურეთ ისე, როგორც სააკაშვილს ემსახურებოდით და თქვენი მეგობრები და მოკავშირეები გავხდებითო. ამიტომ ის ხალხი, ვინც გარეული იყო ყველაზე ბინძურ უბედურებებში, დღეს უვადოდ ინიშნება.

***– საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საკმაოდ ცუდი დასკვნები და შეფასებები მოდის. საბოლოოდ რა მიიღო საზოგადოებამ ივანიშვილის ხელისუფლებისგან?***

– საზოგადოებამ მიიღო სააკაშვილი კვადრატში! ოღონდ მისი გვარი არის ივანიშვილი, რომელიც დღეს აქტიურადაა დაკავებული საქართველოს ბუნების გაჩანაგებით! ძალიან ცუდი მდგომარეობაა და დღეს ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრი არ არსებობს, რომ ადამიანები მათ დაეყრდნონ.

***– შეეგუა ჩვენი საზოგადოება ამ ვითარებას?***

– არა, ასე არ არის. ივანიშვილს ოპოზიციასთან ცალცალკე აქვს კონტრაქტები გაფორმებული. ახალ ოპოზიციურ ძალას რომ მოუნდეს გამოჩენა და აქტიურობა, განა ივანიშვილი მოუღებს ბოლოს, არა, თვითონ ოპოზიციონერები, რომლებიც ოპოზიციურ ველზე არავის შეუშვებენ, რადგან ისინი ოპოზიციონერად დანიშნა ივანიშვილმა, ანუ დღეს ჩვენ გვყავს ივანიშვილის მიერ დანიშნული ხელისუფლება და ივანიშვილის მიერ დანიშნული ოპოზიცია. ამიტომ ეს არის ძალიან სახიფათო სიტუაცია.

***– ანუ სატელიტი ოპოზიცია ჰყავს ხელისუფლებას?***

– რა თქმა უნდა! დანიშნული ოპოზიცია ჰყავს! ყველა არა, მაგრამ, ვისაც რამის გაკეთების შნო აქვს, ყველა არის დანიშნული! ერთადერთი ნათელი წერტილი იყო პრესა, ტელევიზია და ვხედავთ, რომ პირდაპირ შტურმია მიტანილი დამოუკიდებელ ტელევიზიებზე.

***– არ ვერევით და არც ზეწოლას აქვს ადგილიო, განაცხადა პრემიერმა.***

– სააკაშვილი შტურმით შევარდა, ასე არ უვარდებიან, მაგრამ აქ უფრო ბინძურად ხდება, ტელევიზიების ფინანსური ჩაძირვა ხდება. ეს ძალიან ცუდი პროცესია! იმ გაზეთს ან ტელევიზიას, რომელსაც ექნება დიდი ავტორიტეტი, აუცილებლად გაანადგურებენ! ეს ხელისუფლება მიხვდა, რომ საზოგადოება უკვე ინფორმირებულია, ყველამ გაიგო, რომ სააკაშვილის რეჟიმი კი არ წავიდა, ივანიშვილმა ის შეინარჩუნა და კიდევ უფრო გააძლიერა!

***– თქვენ ასე ფიქრობთ?***

– სააკაშვილის რეჟიმი სააკაშვილზე ხომ არ იდგა?! ის იდგა სწორედ ამ მოსამართლეებსა და ამ პროკურორებზე! ყველაზე კარგად თავად იციან, რა აქვთ გაკეთებული. ხედავთ, ანა დოლიძეს რას უკეთებენ?! პირდაპირ ეკვეთნენ. მე რომ მურუსიძის წინააღმდეგ გავაერთიანე მთელი ოპოზიციური სპექტრი და თვითონ ხელისუფლებაშიც ბზარი გაჩნდა, ვინ გამოვარდა და მურუსიძეზე ვინ თქვა, თავი დაანებეთ, მსხვერპლიაო? ვინ და ივანიშვილმა. როდესაც დაინახა, რომ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც მასთან შეკრული არ არის და დაიწყო ოპოზიციის გაერთიანება, მაშინვე მსხვერპლად აქცია მურუსიძე. ის ოპოზიცია კი სად დავკარგე, იმის შემდეგ ველარ გავიგე!

დღეს ისეთ ჭაობშია ეს ქვეყანა ჩაფლული, რომელიც გაცილებით უარესია, ვიდრე სააკაშვილის დროს იყო. დღეს ხალხში ნიჰილიზმი გაჩნდა, რომ ამ ივანიშვილმაც მოგვატყუა.

***– ამბობთ, რომ თავისუფალ მედიასაც უტევენ. რა ხდება ბიზნესში?***

– თუნდაც ბადაგონის თემამ აჩვენა, რომ ბიზნესზე ისეთივე ტერორი განხორციელდება, როცა ბიზნესს ვინმე გააკეთებს დამოუკიდებლად, როგორც ეს მოხდა ბადაგონთან მიმართებით, იძულებულს გხდიან, წახვიდე ისევ ივანიშვილის ხელისუფლებაში, ნახო ვილაცა, რომელიც შენს ბიზნესს „დაკრიშავს“. ორ ადამიანს შორის დადებულ გარიგებაზე წილის ნასყიდობაზე როგორ შეიძლება, დაიწყო გამოძიება?! როდესაც არცერთი მხარე არ ამბობს, რომ ეს ხელშეკრულება გაყალბდა, როცა არცერთი მხარე არ ამბობს, რომ ხელმოწერებია გაყალბებული და ორივე აღიარებს გარიგების შინაარსს. აი, ბადაგონში ამ შემოვარდნით საქართველოში ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებისთვის დამთავრდა ივანიშვილის ფეოდალური ხელისუფლება.

***– რა პროცესებამდე მივა ეს ყველაფერი?***

– ადამიანების ძალიან დიდი ჯგუფი მიხვდება, რომ ჩვენ გვყავს არაფორმალური მმართველის მიერ დანიშნული ხელისუფლება და არაფორმალური მმართველის მიერ დანიშნული ოპოზიცია. ეს ყველაზე ცუდია ივანიშვილისთვის, იმიტომ, რომ ძალიან მალე უმართავი პროცესები წავა. უმართავ პროცესებს კი დიქტატორისა და ფეოდალის მიმართ მოჰყვება ხოლმე ძალიან მკაცრი შედეგი.

მანქანაში ძრავა რომ მოიშლება, დღეს ისეა მოშლილი მთელი სახელმწიფო მექანიზმი. დღეს ივანიშვილს მურუსიძე და ჩინჩალაძე იმაზე მეტად სჭირდება, ვიდრე ის სააკაშვილს სჭირდებოდა.

# ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის დაკავებულ ლადო გრიგალაშვილს პატიმრობა შეეფარდა

## ადვოკატი: „საქმეში შავი ბმვ-ს მძღოლი გამოჩნდა. გრიგალაშვილი ბრალს არ აღიარებს“



**პროკურორი: „მკვლელობის იარაღი გრიგალაშვილის ავტოფარეხში იპოვეს“**

20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის დაკავებული ლადო გრიგალაშვილის ადვოკატის ინფორმაციით, საქმეში შავი ბმვ-ს მძღოლი ფიგურირებს, რომელთანაც მოკლულს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა.

როგორც ნაირა ოტიაშვილმა ჟურნალისტებს ლადო გრიგალაშვილისთვის ბრალის ოფიციალურად წაყენების შემდეგ განუცხადა, გრიგალაშვილი ბრალს არ აღიარებს და დუმილის უფლებას იყენებს.

– საქმეში ფიგურირებს შავი ბმვ-ს მძღოლი, რომელსაც ამ ეტაპზე ასევე ვერ დავასახელებ და არის რაღაც სხვა ურთიერთობები. გარდაცვლილსა და ბმვ-ს მძღოლს შორის იყო ინტიმური ურთიერთობა. ვისთან ერთად იყო ხალათით, ეს გამოძიების დასადგენია. ლადოს მიერ ნამდვილად არ არის მოკლული, – განაცხადა ოტიაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიებას გრიგალაშვილის მიმართ იქიდან გამომდინარე გაუჩნდა ეჭვი, რომ მოკლული მისი შეყვარებულია და გრიგალაშვილს მასთან ღამის 04:00 საათამდე სატელეფონო მიმოწერა ჰქონდა.

23 თებერვალს გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ლადო გრიგალაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი.

სხდომაზე საქმის პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა განაცხადა, რომ გარდაცვლილს თავისა და კისრის არეში დანით 7 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

მისი თქმით, ლადო გრიგალაშვილმა, რომელსაც მოკლულთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა, გოგონა შურისძიების მოტივით მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის შეფარდების დასაბუთებისას ბიბილაშვილმა ასევე ხაზი გაუსვა ბრალდებულის სასტიკ ქმედებას.

– ანა ნაცვლიშვილის ცხედარი ყელგამოღადრული ესვენა. მას 7 სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ამოღებულია ლადო გრიგალაშვილის ავტოფარეხიდან. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მან დატოვა შემთხვევის ადგილი და ფაქტობრივად მიიმალა – ტანსაცმელი გამოიცვალა, გადამალა დანაშაულის იარაღი და ალიბის შექმნის მიზნით, თითქოსდა ანა ნაცვლიშვილი არ პასუხობდა სოციალურ ქსელში და ტელეფონზე, სახლში მივიდა გარდაცვლილთან და მეგობრებთან ერთად თითქოსდა ძებნა დაუწყო, – განაცხადა გრიგოლ ბიბილაშვილმა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლადო გრიგალაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

# „არის იმის რისკი, რომ რაიმე ნეგატიურმა რყევამ დომინოს პრინციპით დასცეს საბანკო სისტემა“

სახელმწიფოს სადაზღვევო კომპანიის ყოფილი დირექტორი გია ფაცურია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე სესხების შესახებ წერს.

– ფიზიკური პირების (ინდმეწარმე ფიზიკური პირების ჩათვლით) სესხები კომერციული ბანკების მიმართ 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 11,5 მილიარდ ლარს შეადგენს.

საქართველოს ბანკების ჯამურმა აქტივებმა 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის 34.6 მილიარდი ლარი, 13.35 მილიარდი დოლარი შეადგინა.

პირველი ინფორმაცია რომ შემეფეთა, მეორეც ვიპოვე – გამოდის, რომ საბანკო აქტივების მესამედი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებია. საკმაო ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს „ნაგავი აქტივია“ დიდი ნაწილი. 240 ათასია მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული. ჰოდა, მგონი, არის იმის რისკი, რომ რაიმე ნეგატიურმა რყევამ დომინოს პრინციპით დასცეს საბანკო სისტემა.

დაზღვევის ელემენტი მხოლოდ ისაა, რომ ბანკების საწესდებო ფონდის 80% უცხოურ ფინანსურ სტრუქტურებს ეკუთვნის და, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ სისტემის რეკაპიტალიზაცია. მაგრამ მაინც ბომბზე ვზივართ, მგონი, თან ამ რეკაპიტალიზაციაში რას მოითხოვენ, ეშმაკმა იცის.

2002 წელს მთლიანი საგარეო ვალი 2 მილიარდი დოლარი იყო, ახლა 10 მილიარდია, – წერს ფაცურია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი კვირიკაშვილის გასაშვებად საბაბს ეძებს“

## „მთავრობის მეთაური ცდილობს, „ოცნებას“ გაემიჯნოს“

შორენა მარსაგიშვილი

**რა ხდება მმართველ გუნდში, რატომ გააპროტესტა კვირიკაშვილმა მოსამართლეების ნაწილის უვადოდ დანიშვნა, ვინ ემზადება „ოცნებიდან" გასაქცევად, რას აპირებს ბიძინა ივანიშვილი, როგორ რყვნის საქართველოს ხელისუფლება აშშ-ის ელჩებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

***– მოსამართლეების ნაწილის უვადოდ დანიშვნას საზოგადოების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. აღშფოთებულთა შორის აღმოჩნდა ქვეყნის პრემიერიც. მას უჭირს იმის წარმოდგენა, როგორ შეიძლებოდა უვადო მოსამართლედ დაენიშნათ სულხან მოლაშვილის საქმის მოსამართლე. თქვენ რას ფიქრობთ პრემიერის აღშფოთებაზე?***

– პრემიერის მიერ გავრცელებული ბოლო განცხადებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა ის, რაც მე არაერთხელ მითქვამს. სამწუხაროდ, საქართველომ გადალახა ის მიჯნა, რომლის იქითაც სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოშლილია. ჩვენ არც პრემიერი გვყავს და არც პარლამენტის თავმჯდომარე. სასამართლო სისტემაზე ხომ საერთოდ აღარ არის საუბარი.

დღეს საქართველოს მართავს ორი მიმართულება. ერთი გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და მისი სამარცხვინო ელჩი, იან კელის სახით. მეორე მიმართულებაც ამერიკას უკავშირდება – ეს არის მათ მიერ ხელდასმული მეხუთე კოლონა. მხედველობაში მყავს მათი სპეცსამსახურების მიერ დაფინანსებული რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია.

აი, ეს ხალხი მართავს საქართველოს და ეს ხალხივე უდგენს ჩვენს ხელისუფლებას დღის წესრიგს. რასაც ისინი კარნახობენ, უთავმოყვარეო, უსახო და ბლუჯა-ბლუჯა მთავრობა იმას აკეთებს. ამის ნათელი გამოვლინებაა ის, რაც სასამართლოში მოხდა.

ეს არის „ქართული ოცნების“ მიერ ქართული საზოგადოების მორიგი შეურაცხყოფა. მმართველმა გუნდმა მურუსიძეები და მისი მსგავსნი იმიტომ არ შეცვალეს, რომ ისინი თავიანთი ჯიბის მოსამართლეებად გაიხადეს. თანამდებობაზე დატოვებულები ყველა სიბინძურეზე მიდიან და ამით ვალს უხდიან „ქართულ ოცნებას“.

შევარდნაძის დროიდან მოყოლებული დღემდე, იმაზე მიდის საუბარი, რომ სასამართლოში სერიოზული რეფორმებია ჩასატარებელი. ასეთ დროს რა აუცილებლობას წარმოადგენდა მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა? 10 და 15 წლით არ შეიძლებოდა მათი დანიშვნა? შეიძლებოდა, მაგრამ „ოცნება“ ხომ მოსწრებაზეა და ცდილობს, ყველაფერი თავის თავზე მოირგონ, სანამ ხალხი არ გამოსულა ქუჩაში.

***– უვადოდ დანიშნულ მოსამართლეთა შორის თქვენი საქმის მოსამართლეც არის?***

– არ ვიცი. მისი სახელის ხსენებაც არ მინდა. მაგასაც დანიშნავდნენ სადმე. იმისთვის ვებრძოდით იმ სისხლიან რეჟიმს, რომ ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“ მარტო ფული ეკეთებინა და ვიგინდარა მოსამართლეები უვადოდ დაენიშნათ? სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად კოაბიტაცია მივიღეთ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნაცვლად – მცოცავი ანექსია. კორუფციასთან ბრძოლის ნაცვლად, ტენდერებით უმაღლეს დონეზე ასული კორუფცია მივიღეთ.

ჩაიხრჩო „ქართული ოცნება“ კორუფციულ გარიგებებში. ღირსეული პროფესიონალების ნაცვლად, მაღალ თანამდებობებზე ვიგინდარები, ქუჩიდან მოყვანილი უმაქნისები ინიშნებიან. დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების ნაცვლად, ერთსქესიანთა ქორწინებას ქადაგებენ და ლამის ამ იდეის აპოლოგეტებად იქცნენ. ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესს რომ მიაჩვიონ, ამის ნაცვლად, ნარკოტიკების ლეგალიზებას უჭერენ მხარს. ემიგრანტების დაბრუნების ნაცვლად, ყველაფერს აკეთებენ, რომ ხალხი საქართველოდან გაიქცეს. კრიმინალის აღკვეთის ნაცვლად, მისი მასშტაბები გაიზარდა.

იუსტიციის საბჭოს უღირსი წარმომადგენლები სულ წიხლისკვრით არიან გასაყრელი და ტყუილად ჰგონიათ, რომ მართლა უვადოდ დაინიშნნენ.



***– რას გულისხმობთ?***

– როგორც კი შეიცვლება ხელისუფლება და ყველაფერი აქეთკენ მიდის, იუსტიციის საბჭოს უღირს წევრებს სულ კინწისკვრით გამოყრიან. ყველაფერი დაიწყება თავიდან.

ახლა პრემიერის განცხადებაზეც გადავიდეთ. ეს იყო „ქართული ოცნების“ უსასოობის, უსქესობის, შიშის გამოვლინება. „ოცნების“ ძალიან ბევრ წევრს იმაზე ფიქრიც კი ზარავს, რა მოხდება, როცა ისინი ხელისუფლებაში აღარ იქნებიან.

კარგად იცით, რომ ჰაერზე არასდროს ვლაპარაკობ და აქამდე რაც ვთქვი, ყველაფერი გამართლდა. ახლა ვამბობ, რომ „ოცნების“ რიგებში სერიოზული რღვევაა და წინ დიდი ცვლილებები გველოდება.

პირდაპირ ვამბობ, ბიძინა ივანიშვილს აღარ სურს, რომ პრემიერად გიორგი კვირიკაშვილი ჰყავდეს. ის ეძებს მიზეზებს, როგორ გაუშვას მთავრობის მეთაური ისე, რომ სერიოზული პრობლემები არ შეექმნას.

***– ივანიშვილს კვირიკაშვილის ეშინია?***

– რა თქმა უნდა, არ ეშინია, მაგრამ ისეთ მიზეზს ეძებს, რომ კვირიკაშვილის გადადგომას მითქმა-მოთქმა არ მოჰყვეს. მთავრობის მეთაურს მთელი მისი გუნდი მიჰყვება თან. ეს დრო ძალიან მალე დადგება.

ბუნებრივია, ამას გრძნობს პრემიერი და თამამად არა, მაგრამ ერთი-ორი განცხადებით ცდილობს, როგორმე აჩვენოს ქვეყანას, რომ რაღაც-რაღაცების წინააღმდეგია და პირადად მისთვის მიუღებელი იყო ის, რაც მისაღები იყო „ქართული ოცნებისთვის“.

გითხარით, რომ მმართველ გუნდში რღვევაა დაწყებული. გუნდის წევრები უკვე ჭამენ ერთმანეთს. არის რაღაც ვალდებულებები, რაზედაც მომავალში უმწარესად მოეთხოვებათ პასუხი. 2020 წლამდე ესენი ერთი გუნდით ვერ მიაღწევენ.

რამდენიმე დღის წინ, პარლამენტის სხდომაზე უცბად გამოვარდა სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი და მთავრობის წარმომადგენლებს დაუპირისპირდა.

***– ოთარ დანელიაზე საუბრობთ?***

– მაგაზე, აქამდე მისი გვარიც არ ვიცოდი. აქამდე არაფერზე არ ჰქონდა რეაქცია და ახლა უცბად გამომივიდა მეამბოხე. ის კარგად გრძნობს მოახლოებულ პრობლემებს და ესმის, რომ საზოგადოება „ქართულ ოცნებას“ ცოცხალს და მკვდარს აგინებს. ისე შეაძულეს ხალხს თავი, დარწმუნებული ვარ, ხმების მიცემის სანაცვლოდ, მათგან ფულსაც კი აღარ აიღებენ.

ხელისუფლების კრიტიკას მალე სხვა მეოცნებეებიც დაიწყებენ. ეს არის ჩვეულებრივი ვირთხული ფსიქიკა. ჯერ იმიტომ, რომ ვირთხებივით შეესივნენ ბიუჯეტს და ჩვენ მიერ გადახდილ გადასახადებს ჭამენ. ვირთხობის მეორე



### გიგლა ბარამიძე: „ოცნებაში“ რღვევის პროცესი დაიწყო“

მაგალითი გახლავთ ის, რომ ჩასაძირად განწირული გემიდან გასაქცევად ემზადებიან. აქეთ-იქეთ აცეცებენ თვალებს, ჯერ არ იციან, სად გაიპარონ.

არ ვამბობ, რომ „ოცნება“ დღეს ან ხვალ ჩამოიშლება, მაგრამ ეს პროცესი დაწყებულია და დასკვნით ფაზაშია შესული. ყოფილი პრემიერი, ივანიშვილი, გვერდზეა გამდგარი და რაღაც სხვა საკითხების მოგვარებით არის დაკავებული.

***– რა საკითხებს აგვარებს?***

– ამაზე მომდევნო ინტერვიუში გესაუბრებით. მართალია, ახლა ივანიშვილს „ოცნებისთვის“ არ სცხელა, მაგრამ მისი ნებართვის გარეშე მაღალ თანამდებობაზე არავინ არ ინიშნება. ქვედა რგოლები მას არ აინტერესებს.

მან ასევე კარგად იცის, რომ „ქართული ოცნება“ ლპობის სერიოზულ პროცესშია შესული და უახლოეს მომავალში, როგორც უკვე გითხარით, აპირებს მთავრობის მეთაურის გაშვებას. ამ ეტაპზე მისი შემცვლელის ძიებაშია.

***– ვინ მოიაზრება კვირიკაშვილის შემცვლელად?***

– თავიდან საუბარი იყო გიორგი გახარიას და მამუკა ბახტაძის კანდიდატურებზე. დღეის მონაცემებით, ბახტაძეა დაწინაურებული. ყოფილი პრემიერი აცნობიერებს, რომ სერიოზული ცვლილებებია საჭირო. „ქართულმა ოცნებამ“ ისე დაკარგა სახე, რომ ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ ფული მიიღონ.

ცოტა ხნის წინ დიდი ზარ-ზეიმით გვამცნეს, რომ აპირებენ საქართველოში უცხოელი სტუდენტების სწავლის დაფინანსებას. ამას აკეთებენ მაშინ, როცა. უსახსრობის გამო ათასობით ქართველ ახალგაზრდას შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

უცხოელ სტუდენტებს, იცით, რატომ აფინანსებენ? მათ მიერ კონტროლირებადი სასწავლებლები იყოს შემოსავლიანი და იქიდან წილები მიიღონ. ამისთვის მზად არიან, კამბოჯიდან და ბეირუთიდან ჩამოსული სტუდენტები დააფინანსონ.

მმართველმა გუნდმა და არასამთავრობოებმა თავიანთი სახე აჩვენეს, ევროპიდან ქართველების გამოყრა რომ დაიწყეს. რუსეთიდან ქართველების დეპორტი რომ განხორციელდა, ამაზე ერთი ამბავი რომ ატეხეს, იმაზე რატომ არ იღებენ ხმას, ევროპიდან კინწისკვრით რომ ყრიან? რაღაც არ მახსენდება, ეს ამბები არასამთავრობოებს გაეპროტესტებინოთ. არადა ყველაფერზე მწვავედ რეაგირებენ, ისეთი სახეებით ჩამწკრივდებიან, რომ ესესის ოფიცრებს შეშურდებოდათ.



იცით, რატომ არ ატეხეს ამაზე ამბავი? იქედან იღებენ ფულს. მესმის, რომ ვინც ქურდობს, ის უნდა გამოაძევონ, მაგრამ ფეხმძიმე ქალი გამოაგდეს, რომელიც იქ 10 წელი ცხოვრობდა.

ამ დღეებში გერმანიის მთავრობამ იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს მიმართა, ოღონდ წადით საქართველოში და 3.000-3.000 ევროს დაგირიგებთო. ამას დიდი სიხარულით შეხვდა ვერიჩკა ქობალიას ქოლგის დამტარებელი, მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე.

მისი განცხადებები იყო სამარცხვინო, გამოვიდა და გვითხრა – აი, გერმანიის მთავრობა 3.000 ევროს აძლევს ჩვენს მოქალაქეებს, საქართველოში რომ დაბრუნდნენო. შე დალოცვილო, გერმანია თუ აძლევს ფულს ამ ხალხს, შენ და შენმა მთავრობამ არ უნდა გაიღოთ ფული, რომ ემიგრანტები უკან დაბრუნდნენ?

საგარეო საქმეთა მინისტრად ერთ-ერთი უცხოური ბენზინგასამართი ქსელის მენეჯერი რომ გეყოლება, კიდევ კარგად გვქონია საქმე.

ჩვენ რამდენიმე დღის წინ მივმართეთ საქართველოს მთავრობას, რომ საქართველოში ჩამოიყვანონ საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი გია მაისაშვილი, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია. ოჯახს ამერიკიდან მის აქ ჩამოსაყვანად თანხები არ აქვს.

ჩვენი მიმართვიდან რამდენიმე დღე გავიდა და ამ მომენტამდე, როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, მათგან რეაგირება არ ყოფილა. არადა გია მაისაშვილის აქ ჩამოყვანა ბიუჯეტს დიდად არ დააზარალებს. იმ თანხას, რაც ამ საქმეს სჭირდება, ზოგიერთი ჩინოსანი დანამატის სახით იღებს. იმედია, ვერიჩკა ქობალიას ქოლგის მატარებელი აშშ-ს არ მოსთხოვს ფულს, რომ მაისაშვილის სამშობლოში ჩამოყვანა დააფინანსოს.

ისე, ამის თხოვნა არც უნდა გვჭირდებოდეს. ჩვენ იმისთვის ვიხდით გადასახადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეებზე იზრუნოს, მაგრამ ამათ ხალხისთვის სად სცალიათ. თვალებს აცეცებენ, სად გაიქცნენ. ამის მაგალითია პრემიერის განცხადებაც. ეს განცხადება იმ ლექსს მაგონებს, „ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია“. შე დალოცვილო, შენა ხარ მთავრობის მეთაური და შენ შესჩივი კიდევ ვინმეს? არ მითხრას, რომ სასამართლო დამოუკიდებელია, „ოცნებამ“ შეყარა ჯალათი მოსამართლეები იქ.

ეს ყველაფერი მაგონებს მასთან შედარებით ახალგაზრდა ყმაწვილის, გახარიას, გადაწყვეტილებას. პირველი რაც გააკეთა, სააკაშვილის დროინდელი პროკურორი ქალბატონები დაისვა გვერდით, შემდეგ კი კამპანიას „არა ჩადებას“ შეუერთდა.

***– აშშ ვახსენეთ და მარტის თვეში იან კელი დაგვტოვებს. სხვა ქვეყანაში ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა, მაგრამ ჩვენთან უმაღლესი დესპანი სწორედ აშშ-ის ელჩია. თქვენი აზრით, ახალი ელჩის ჩამოსვლის შემდეგ აქ რაიმე შეიცვლება?***

– ახალი ელჩის მოსვლით პოლიტიკური კლიმატი არ შეიცვლება. ჩამოდიან აქ აშშ-დან ელჩები და ხვდებიან აქ მონები. პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის ყაზახეთში, თურქმენეთსა და სომხეთში აშშ-ის ელჩები ასეთი გაჯეჯილებულები არ არიან, როგორც ჩვენთან.

მახსოვს, როგორ ჩამოვიდა იან კელი პირველად საქართველოში. მაშინ ვთქვი, როგორი თავმდაბალი ადამიანია, მაგრამ რომ ნახავს, მთელი ხელისუფლება ფეხის წვერებს უკოცნის, როგორ გაიბრიქება. ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ჩამოსვლიდან 2 თვეში ფაშასავით გახდა.

***– ჩვენ ვრყვნით აშშ-ის ელჩებს?***

– რა თქმა უნდა. ჩამოვა ახალი ელჩი, იმასაც ნამდვილი დიპლომატის სახე ექნება, მაგრამ მერე მთელი მთავრობა ფეხის წვერებს დაუკოცნის და ისიც ფაშად იქცევა.

2018, 24 —25 თებერვალი, №46

# სოსო ბარათაშვილი: „პრემიერის განცხადება მოსამართლეების უვადო დანიშვნაზე დაგვიანებულია“

ნათია ხურცილავა

**უფლებადამცველი, სულხან მოლაშვილის ადვოკატი, სოსო ბარათაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სულხან მოლაშვილის საქმის განმხილველი მოსამართლის, მანუჩარ კაპანაძის სამუდამო მოსამართლედ გამწესებაზე საუბრობს.**



***— ბატონო სოსო, პრემიერი კვირიკაშვილი სულხან მოლაშვილის საქმის განმხილველი მოსამართლის, მანუჩარ კაპანაძის უვადოდ გამწესებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ამ ფაქტმა საზოგადოებაში კითხვები გააჩინა. თქვენ იყავით სულხან მოლაშვილის ადვოკატი, როდესაც გაიგეთ კაპანაძის უვადოდ გამწესების შესახებ, რა განცდა გქონდათ?***

— ძალიან მძიმე თემაა. ე.წ. კაბელების საქმის ერთ-ერთი მოსამართლე იყო მანუჩარ კაპანაძე, მე მაშინ მისი აცილების საკითხი დავაყენე სწორედ იმის გამო, რომ ის იყო სულხან მოლაშვილის საქმის განმხილველი მოსამართლე. მაშინ მის მიერ გამოტანილი განაჩენი საყოველთაო კრიტიკის საგანი გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან. სიმართლე გითხრათ, მაშინ ჩემი დამოკიდებულება ამ მოსამართლის მიმართ ასე გამოვხატე. იგივე დამოკიდებულება მაქვს დღესაც და ეს დამოკიდებულება არ შემეცვლება.

***— პრემიერის განცხადებას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, რომ დაგვიანებულია, რომ ეს განცხადება ადამიანებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა. თქვენ რას იტყვით, შესაძლებელია რამე რეაქცია მოჰყვეს?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს განცხადება უკვე დაგვიანებულია. თავის დროზე, 2013 წლის ბოლოს, როდესაც უნდა განხორციელებულიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემური ცვლილება, ეს არ მოხდა. მეტიც, ფაქტიურად ადამიანების ვიწრო ჯგუფმა თვითნებობის შესაძლებლობა მიიღო. ახლა კი ვხედავთ იმას, რომ ადამიანების ეს ჯგუფი ფაქტიურად სახელმწიფოს საბოტაჟს უწყობს. ეს ჯგუფი, ასე ხელაღებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იმ მოსამართლეებს ნიშნავს უვადოდ, რომლების განაჩენებზეც, სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საპირისპირო განაჩენი აქვს გამოტანილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეს შემადგენლობა გასაშვებია, ერთ-ორ ადამიანს თუ არ ჩავთვლით. ეს არის ადამიანების ჯგუფი, რომლებიც უსამართლობას ნერგავდნენ, თან ძალიან ცინიკურად.

***— ბატონო სოსო, თქვენ წარმოადგენდით სულხან მოლაშვილს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. სტრასბურის გადაწყვეტილება როგორი იყო, ცნობილია. დღეს რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

— დიახ, რა თქმა უნდა, მე წარმოვადგენდი ბატონ სულხან მოლაშვილის ინტერესებს სტარსბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. მაშინ სახელმწიფომ თავად აღიარა, წინა ხელისუფლების დროს რომ სულხან მოლაშვილის წინააღმდეგ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა მოხდა. მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას და აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს წამებას. ეს ყველაფერი წინა ხელისუფლებამ აღიარა. მაშინ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ თქვა, რომ დარღვეულია: მე-3, მე-5, მე-6, მე-14 მუხლები სულხან მოლაშვილის წინააღმდეგ და თქვა, როდესაც ამდენი მუხლია დარღვეული, ეს არის უმძიმესი შემთხვევა. ამას მხოლოდ ევროპული სასამართლო კი არა, ხელისუფლებაც აღიარებდა ჯერ კიდევ 2011 წელს. ამაზე უფრო ნათელი დარღვევები, უბრალოდ, შეუძლებელია არსებობდეს.

***— რომელიც ვერ შეამჩნია მაშინ მოსამართლე კაპანაძემ.***

— დიახ.

***— ბატონო სოსო, კაპანაძეს, როგორც მოსამართლეს, რა შეეძლო გაეკეთებინა? ამას გეკითხებით იმიტომ, რომ, მაგალითად, მურუსიძე ამბობს, რომ გირგვლიანის საქმეზე მას სხვა განაჩენი არ შეეძლო გამოეტანა.***

— მოსამართლე კაპანაძეს შეეძლო გამოეტანა სხვანაირი განაჩენი. თუ ის ამბობს, რომ მე სისტემის მსხვერპლი ვიყავი, ეს მას ვერ გაამართლებს. მას არავინ არ აძლევს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. სამართლის ლიტერატურაში კი არის მაგალითები, მაგალითად გერმანიაში, როდესაც ფაშიზმი დამარცხდა, როგორ განვითარდა მოვლენები, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ამ მოსამართლეებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში არავინ არ მისცემს. აქ საუბარია მორალურ პასუხისმგებლობაზე. იმის გამო, რომ მათ ჩაიდინეს ეს უკანონობა, ეს დანაშაული, ნუღარ იქნებიან სამუდამოდ მოსამართლეები. ამაზეა საუბარი.

***— 2012 წლის მოწვევის პარლამენტმა ამნისტიის შესახებ კანონი მიიღო. შესაბამისად უკანონო გადაწყვეტილებები ხომ მოსამართლეებმა მიიღეს?***

— დიახ, რასაკვირველია. ქვეყანაში არსებობს ამდენი პოლიტპატიმარი და ეს არის სახელმწიფოს პოზიცია, როდესაც მან მიიღო ამნისტიის შესახებ კანონი. ძალიან მაინტერესებს, ის მოსამართლეები, რომლებსაც ამ ადამიანების მიმართ გამოჰქონდათ განაჩენები, დღეს როგორღა არიან მოსამართლეები, თან სამუდამოდ როგორ გაამწესეს?!

***— რა გზავნილი შეიძლება ეს იყოს რიგითი მოქალაქეებისთვის, რომელიც შეიძლება მოსამართლე კაპანაძის ხელში აღმოჩნდეს?***

— აქ საუბარია სისტემაზე. თუ ისევ ის მორჩილი მოსამართლეები იქნებიან და ხელისუფლების მითითებებს შეასრულებენ, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ხელისუფლებაში, საუბარია ნებისმიერ ხელისუფლებაზე, მათ არაფერი არ დაემუქრებათ მომავალშიც და სამუდამოდ იქნებიან მოსამართლეები. გზავნილი არის ის, რომ ეს ადამიანები ხელშეუხებლები არიან!

***— რა შეიძლება იყოს გამოსავალი?***

— გამოსავალი არის ერთადერთი, ცხადია, კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეს შემადგენლობა უნდა დაიშალოს. არ უნდა ჰქონდეს საბჭოს მხოლოდ მოსამართლე წევრს მოსამართლის უვადოდ დანიშვნის უფლება. საჭირო უნდა იყოს ძალიან მაღალი კონსენსუსი, რათა მოსამართლე უვადოდ გამწესდეს. ძირეულად არის ეს ყველაფერი შესაცვლელი. აქ პრობლემა მხოლოდ ერთ ადამიანში კი არ არის, პრობლემა არის სისტემაში, რომელიც დაკანონდა. სამწუხაროდ, ფაქტიურად მოხდა ის, რომ მთელი ამ პროცესით უსამართლობა, უკანონობა ჩაბეტონდა. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ეს შედეგი უცილობლად დადგებოდა. ნათელი იყო იმთავითვე, როდესაც ეს ხელისუფლება ამაზე წავიდა.

ზოგადად ეს ძალიან ფაქიზი თემაა. ცხადია, ერთი მხრივ სახელმწიფო, ხელისუფლება არ უნდა იჭრებოდეს მოსამართლის შინაგან რწმენაში და ა.შ. მაგრამ როდესაც სახეზე არის სისტემური დანაშაული, როდესაც ათასობით დაუსაბუთებელი განაჩენი არის გამოტანილი და ამაზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები არსებობს, ამ შემთხვევაში ხელისუფლების გადაწყვეტილება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ძირეული ცვლილებები. 2013 წელს სიღრმისეული ცვლილებები კი არ მოხდა, უფრო განმტკიცდა უკანონობა, უფრო დაკანონდა. რაც ახლა ხდება, ეს ამის გამოვლენაა. მაშინ ამის გამოსწორება რეალურად შეიძლებოდა.

***— ახლა?***

— ახლა გაცილებით რთულია. გამოუსწორებელი არაფერია, მაგრამ პირველ რიგში საჭიროა პოლიტიკური ნება. პოლიტიკური ნების შემთხვევაში ყველაფერი შესაძლებელია. საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა, კანონმდებლობის შეცვლა. ეს ყველაფერი შეიძლება თუ რეალური სურვილი იქნება.

***— საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა ერთ-ერთი გამოსავალია, რომ ეს პროცესი უფრო გამჭვირვალე იყოს?***

— რა თქმა უნდა, მაგრამ პირველ რიგში ნება უნდა არსებობდეს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების. ამის შემდეგ შეიძლება უცხოელი ექსპერტების მოწვევაც და ადგილობრივი მეცნიერების ჩართვაც, სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ამ ყველაფერს დაამუშავებს და საზოგადოების ჩართულობით მოხდება გადაწყვეტილების მიღება.

# გიორგი მარგველაშვილი: „ცხინვალში ქართველი ჯარისკაცი, არჩილ ტატუნაშვილი მოკლეს“

## სუსი ცხინვალისგან დამნაშავეების დასჯას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ოკუპირებულ ცხინვალში ქართველი ჯარისკაცი, არჩილ ტატუნაშვილი დაიღუპა. ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ ოსურმა მედიამ ადგილობრივ უშიშროების სამსახურზე დაყრდნობით გაავრცელა.

სააგენტოს რესის ცნობით, არჩილ ტატუნაშვილი ცხინვალის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

გამოცემის ცნობითვე, ტატუნაშვილი „ოსების მიმართ ჩადენილი გენოციდის ბრალდებით“ ახალგორში მიმდინარე წლის 22 თებერვალს დააკავეს და დაკითხვაზე ცხინვალში გადაიყვანეს.

მასთან ერთად ცხინვალის ხელისუფლებამ საქართველოს კიდევ ორი მოქალაქე — ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი დააკავა.

ოსური მედიის ცნობით, ტატუნაშვილმა სასიკვდილო დაზიანებები წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაყვანისას მიიღო.

— ცხინვალში მას წარედგინა მისი დანაშაულის ამსახველი დოკუმენტები, რის შემდეგაც მან უარი თქვა, კითხვებზე გაეცა პასუხები ადვოკატისა და თარჯიმნის გარეშე, თუმცა არც მათი თანდასწრებით უთანამშრომლია გამოძიებასთან. რის შემდეგ გადაწყდა მისი მოთავსება დროებითი დაკავების იზოლატორში. იზოლატორში გადაყვანისას მან ერთ-ერთი გამცილებლის იარაღის დაუფლება სცადა. მისი ეს მცდელობა გამცილებლებმა ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებით აღკვეთეს. ტატუნაშვილმა წონასწორობა დაკარგა და კიბის საფეხურებზე დაეცა, რის შედეგადაც მიიღო ტრავმები და გადაიყვანეს საავადმყოფოში, — ვკითხულობთ ცხინვალის უშიშროების სამსახურის განცხადებაში.

ამ უწყებას თუ დავუჯერებთ, ქართველ ჯარისკაცს საავადმყოფოში აღმოუჩინეს აუცილებელი სამედიცინო დახმარება.

— აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების მიუხედავად, გარკვეული დროის შემდეგ ის გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზს ექიმები გარდაცვლილის გაკვეთის შემდეგ დაადგენენ, — იუწყება სააგენტო რესი.

ამ ტრაგიკულ ფაქტს საქართველოს ხელისუფლება მისთვის უჩვეულო ოპერატიულობით გამოეხმაურა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მიიჩნევს, რომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს გარდაცვლილის სიკვდილის მიზეზის დადგენას.

— საინფორმაციო წყაროებში გავრცელებული ინფორმაციით, არჩილ ტატუნაშვილი 23 თებერვალს ოკუპირებულ ქალაქ ცხინვალის საავადმყოფოში გარდაიცვალა. მოცემულ მომენტში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ცხელი ხაზის მეშვეობით, დე-ფაქტო ხელისუფლების და რუსეთის საოკუპაციო ძალების მხრიდან კატეგორიულად მოითხოვს არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების და ყველა ზემო ხსენებული პირის დაკავების შესახებ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მიღებას.





აღნიშნულზე აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეების მყისიერი და პრინციპული რეაგირება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეფასებით, ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანია სამხარაულის ექსპერტების ადგილზე შესვლა, რათა მოხდეს ცხედრის პირველადი დათვალიერება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის ოჯახს, — ნათქვამია სუსის განცხადებაში.

საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის აუცილებლობაზე საუბრობს საქართველოს მთავრობის მეთაური გიორგი კვირიკაშვილი.

მისი განცხადებითვე, აუცილებელია, სასწრაფოდ შეიქმნას ადგილზე ადამიანის უფლებათა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები, რათა მოხდეს ადამიანის უფლებების ასეთ და სხვა მძიმე დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება.

— ამ უმძიმესი ფაქტის შესახებ მყისიერად ეცნობათ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასა და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს. ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და განზრახ მკვლელობის მუხლებით.

საკითხის სიმძიმისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით მოხდეს მკვეთრი რეაგირება და სასწრაფოდ დადგინდეს, რა ვითარებაში დააკავეს ჩვენი მოქალაქეები და გარდაიცვალა არჩილ ტატუნაშვილი, რათა ყველა დამნაშავემ აგოს პასუხი, — ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, თბილისი ყველა საერთაშორისო ბერკეტს გამოიყენებს, რომ ახალგორში უკანონოდ დაკავებული ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ.

მომხდარს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც გამოეხმაურა. მარგველაშვილი ამბობს, რომ ცხინვალში ქართველი ჯარისკაცი მოკლეს.

ეს განცხადება მან დანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ანდერს სამუელსენთან შეხვედრაზე გააკეთა.

— მინდა დავიწყო ძალიან სამწუხარო ცნობით — ჩვენი თანამებრძოლი, რომელიც წლების მანძილზე იცავდა გლობალურ უსაფრთხოებას, რამდენიმე საათის წინ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოკლეს. მინდოდა ამ სამწუხარო ინფორმაციის შესახებ მეცნობებინა. ის იყო ქართველი ჯარისკაცი, რომელიც ემსახურებოდა გლობალ მშვიდობასა და უსაფრთხოებას საერთაშორისო მისიებში. სამწუხაროდ, ის მოიტაცეს და მოკლეს, — აღნიშნა მარგველაშვილმა.

# ვახტანგ მაისაია: „ამერიკა და რუსეთი ახალი ცივი ომის პიკში არიან“

გულიკო ბალაძე

**შავ ზღვაში შემოსულია ამერიკის მე-6 ფლოტის გემები. რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ამერიკის საზღვაო-სამხედრო კომპონენტის ყოფნას შავი ზღვის აკვატორიაში?**

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ჩვენ დღეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ამარა ვართ.

— საქართველოს შავი ზღვის აკვატორიის დაცვის არანაირი საშუალება არ გააჩნია. ჩვენ საკმაოდ მოვიკოჭლებთ ამ მიმართულებით. ეს არის ჩვენი აქილევსის ქუსლი. საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში არ ჰყავს სამხედრო-საზღვაო ფლოტი ან დაჯგუფება. სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის აუცილებლობაზე არა მარტო მე ვსაუბრობ, არამედ მთელი სამხედრო საზოგადოება ამაზე მიუთითებს. ქვეყანას საზღვაო ძალების არსებობა ჰაერივით სჭირდება. ფული იხარჯება რაღაც იდიოტურ პრემიებზე და თავდაცვის სამინისტროს გაფუქსავატებულ პერსონალზე, სჯობს ის ფული მოვახმაროთ სამხედრო-საზღვაო ელემენტების შექმნას, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

***— ბატონო ვახტანგ, არის ინფორმაცია, რომ შავ ზღვაში შემოსულია ამერიკის მე-6 ფლოტის გემები. არსებული ინფორმაციით ავიამზიდებიც არიან.***

— არა, ავიამზიდები არ არის შემოსული. ავიამზიდები ძალიან დიდი გემებია და ვერ შემოეტევა. შავ ზღვაში შემოსულია ამერიკის ორი ნაღმოსანი „იუესსქერნი“ და „ივესტესროსი“, რომელიც ბალისტიკური ფრთოსანი რაკეტებითაა აღჭურვილი, ანუ საზღვაო პარკირების ბალისტიკური რაკეტებით, ტომახოდების ტიპით, რომელთაც შეუძლიათ ასევე ჩაატარონ შემტევი ტიპის ზღვახმელეთის ოპერაციები.

***— რა მნიშვნელობა აქვს ამერიკის სამხედრო გემების შავ ზღვის აკვატორიაში შემოსვლას საქართველოსთვის?***

— ეს არის ამერიკის ხელისუფლების ცალმხრივი ინიციატივა, რომ შავი ზღვის აკვატორიაში შექმნას წამყვანი საზღვაო შენაერთი, რომელიც შავი ზღვის აკვატორიაში ამერიკის სამხედრო-საზღვაო-სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ პატრულირებას განახორციელებს და მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის აგრესიულ ქმედებებს შეაკავებს. სავარაუდოდ, ამერიკელები შეეცდებიან სირიის მიმართულებით რუსების გავლენა შეზღუდონ. ძირითადად შავი ზღვის აუზის აკვატორიაში მყოფი ყირიმის პორტებიდან ხდება სწორედ სირიის ოპერაციების მხარდაჭერა. სამხედრო-საჰაერო ძალების დაჯგუფებისა და სახმელეთო შენაერთების მხარდაჭერა ხდება სწორედ მე-6 შავი ზის ფლოტის ძალების მეშვეობით. ასევე მათი ამერიკელების შავი ზღვის აკვატორიაში ყოფნის მიზანია შეზღუდოს რუსეთის ფლოტის მოქმედება ხმელთაშუა ზღვისპირეთის აკვატორიაშიც.




***— ამერიკელების განცხადებით, თითქოს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციას ატარებენ.***

— უსაფრთხოება ცოტა უფრო ფართო ცნებაა, საუბარია ამერიკის სამხედრო საზღვაო სტრატეგიაზე. დღეს ამერიკა და რუსეთი ახალი ცივი ომის პიკში არიან. ამიტომ, ბუნებრივია, ამას უკვე მხარეები აღარ მალავენ და ორივე, ფაქტობრივად, უპირისპირებს თავის სამხედრო არსენალს საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ადრე ამბობდნენ, რომ ასიმეტრიული საფრთხეები იყო, ახლა ორივე მხარეს სამხედრო არსენალი პირდაპირ ერთმანეთის წინააღმდეგ აქვს მიმართული. ეს არის კლასიკური ცივი ომი, როგორც ეს იყო გასული საუკუნის 50-80-იანი წლების პერიოდში.

***— ამერიკელების სამხედრო აქციები თუ გამოიწვევს რუსეთის შავი ზღვიდან განდევნას? რუსეთი შავ ზღვას დაკარგავს?***

— არა, ამერიკელების სამხედრო აქციები შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთის შავი ზღვიდან განდევნას ვერ გამოიწვევს. რუსებმა თავისი სამხედრო პოტენციალი იმდენად გააძლიერეს, რომ დღეს მათ შავი ზღვის აკვატორიიდან განდევნაზე საუბარი არ არის. რუსეთი, სამწუხაროდ, რჩება შავი ზღვის დიდი აკვატორიის მფლობელი. მთელი შავი ზღვის სანაპიროების 40%-ს რუსეთი აკონტროლებს. ეს არის საზღვაო სივრცე და სანაპირო ყირიმის ნახევარკუნძულიდან, მათ შორის, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიების ჩათვლით.

რუსებმა დაიწყეს სალოკაციო და სპეციალური შეიარაღების კოსმოსური სისტემების დაყენება და სანაპირო ზოლის გამყარება. მათ იქ დააყენეს სპეციალური რაკეტსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები, რომელსაც შეუძლია საზღვაო გემების განადგურება საკმაოდ დისტანციურ სიშორეზე. შავი ზღვის პოტენციალი საკმაოდ გაზრდილია. ასევე წყალქვეშა ნავებისა და ახალი ტიპის სხვა შეიარაღების ჩართულობის კუთხით. რუსეთს სამხედრო რადიოსალოკაციო სისტემები აქვს დაყენებული ყირიმისა და შავი ზღვის ფლოტის აკვატორიის სხვა ტერიტორიებზე. ფაქტობრივად, რუსეთმა გააძლიერა თავისი სამხედრო მზაობა შავი ზღვის აკვატორიაში, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის შავი ზღვის ქვეყნების ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთის უსაფრთხოებას.

დღეს თურქეთიც სხვაგვარ პოლიტიკას ახორციელებს. მართალია, ნატოს წევრი სახელმწიფოა, მაგრამ რეალურად, ის რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, ვიდრე მტრულ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყანა, როგორც არის ბულგარეთისა და რუმინეთის მიმართ. ამიტომ, როგორც ჩანს, ამერიკამ თავის თავზე აიღო იდეა, რომ განახორციელოს თავისი პარტნიორების დაცვა. ასევე, გარკვეულწილად, დახმარება აღმოუჩინოს არანატოელ მოკავშირეებს, როგორებიც არიან უკრაინა და საქართველო, რომლებიც რუსული სამხედრო მანქანის აგრესიულობის მსხვერპლნი შეიქმნენ.

***— შავი ზღვის აკვატორიაში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნით გარკვეული გეოპოლიტიკურ თამაშში საქართველო რამენაირად მოიაზრება თუ უბრალოდ, ამ ქვეყანას დაცვა სჭირდება და ამერიკისაგან, შავ ზღვაზე თავისი ძალების დემონსტრირებით, დაცვის რაღაც ელემენტს ღებულობს?***

— საქართველოს შავი ზღვის აკვატორიის დაცვის არავითარი საშუალება არ გააჩნია. ჩვენ საკმაოდ მოვიკოჭლებთ ამ მიმართულებით. ეს არის ჩვენი აქილევსის ქუსლი. საქართველოს არ ჰყავს სამხედრო-საზღვაო ფლოტი ან დაჯგუფება.

***— შექმნა არ შეიძლება?***

— ამაზე საქართველოს სამხედრო საზოგადოება ხელისუფლებას ყოველთვის მიანიშნებდა, რომ თავდაცვის საზღვაო-სამხედრო კომპონენტი აუცილებელი იყო, მაგრამ დღევანდელი თავდაცვის არაკომპეტენტურ ხელისუფლებას რატომღაც ამის გაგონებაც არ სურს. შესაბამისად, ჩვენ ახლა აბსოლუტურად დაუცველი ვართ. კომუნიკაციების სისტემაც არ არის დაცული. ნებისმიერი მტრისთვის მოწყვლადი ვართ. აფხაზმა სეპარატისტებმაც რომ მოინდომონ შემოჭრა, ისინიც შეძლებენ შემოჭრას. თითქოს დღევანდელ ჩვენს თავდაცვის სამინისტროს ამის საშუალება არ გააჩნია. ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, რადგან მათ არ ესმით.

***— როგორ არ ესმით?***

— როგორ და შეაყარე კედელს ცერცვი. მათ სიჯიუტესა და არაკომპეტენტურობას ეროვნული სასიცოცხლო ინტერესები ეწირება. ამიტომ დროა, თავდაცვის სამინისტროს არაკომპეტენტური ხელისუფლება გადადგეს და ადგილი დაუთმონ სხვა ადამიანს, რომელსაც სერიოზული მიდგომები ექნება სამხედრო თავდაცვის გამტკიცების საქმეში და არა ისეთ არაკომპეტენტურობას, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ.

***— რა სიჯიუტეზე საუბრობთ?***

— სიჯიუტე, რომ თურმე საქართველოს არ სჭირდება სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება და ფლოტი. ისიც არ იციან, ფლოტი რა არის. საქართველოს ფლოტი ვერ ეყოლება, რადგან მისი შენახვა ძვირი ჯდება, მაგრამ გარკვეული სამხედრო-საზღვაო ძალების ყოლა აუცილებელია. ეს საკითხი ჩვენი საზოგადოების რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ჩვენ დღეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ამარა ვართ.

***— იქნებ, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკასთან არის საიდუმლო მოლაპარაკება, რომ მათი საზღვაო-სამხედრო ძალები შემოვიდნენ და დარჩნენ ჩვენს შავი ზღვის წყლებში და დაიცვან ჩვენი ინტერესებიც?***

— ამას სპეციალური ხელშეკრულება სჭირდება სამხედრო ძალების განლაგებაზე. ხელშეკრულების გარეშე ამერიკული საზღვაო ძალები შეიძლება შემოვიდნენ ჩვენს საზღვაო აკვატორიაში, ჩაატარონ წვრთნები და გავიდნენ, მაგრამ ბაზირების შექმნა სულ სხვა საკითხია. ეს უკვე ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, რომელიც საქართველოს პირველი პირისა და ამერიკის პრეზიდენტის მოლაპარაკების საგანია. ამას პლუს, საკითხის გადაწყვეტაში საქართველოს პარლამენტმა პირდაპირი მონაწილეობა უნდა მიიღოს.

***— თუ საქართველოს აქვს საშუალება, რომ შექმნას შავი ზღვის დაჯგუფება? აუცილებლობიდან გამომდინარე, ამისთვის ქვეყანამ რაღაც საშუალება უნდა გამონახოს, რომ ზღვის მხრიდან დაცული ვიყოთ.***

— გეთანხმებით, მაგრამ ხელისუფლებასა და, ზოგადად, სამხედრო მიმართულების ხელმძღვანელობას, რომელსაც ეს სფერო აბარია, თავი სილაში აქვთ ჩაყოფილი. გადაწყვეტილებას მე ხომ არ მივიღებ. სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის აუცილებლობაზე არა მარტო მე ვსაუბრობ, არამედ მთელი სამხედრო საზოგადოება ამაზე მიუთითებს. არიან კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც პირდაპირ მიანიშნებენ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის საზღვაო ძალების არსებობა ჰაერივით აუცილებელია. ფული იხარჯება რაღაც იდიოტურ პრემიებზე და თავდაცვის სამინისტროს გაფუქსავატებულ პერსონალზე, სჯობს ის ფული მოვახმაროთ სამხედრო-საზღვაო ელემენტების შექმნას. მე ვსაუბრობ თავდაცვის ბიუჯეტის სწორ გადანაწილებაზე.

***— შავი ზღვის აკვატორია ყველა ვარიანტში დასაცავია.***

— რა თქმა უნდა, დასაცავია. საზღვაო აკვატორიის 9 ათას კილომეტრიანი ზოლი დაუცველი გვაქვს. მხოლოდ 9 ათას კილომეტრიანი ზოლის დაცვაზე კი არ არის საუბარი, არამედ საზღვაო სანაპიროს დაცვაზეც.

საზღვაო აკადემია იყო, გემებიც გვქონდა. დავით თევზაძის კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავა იდეალური კონცეფცია საქართველოს სამხედრო-საზღვაო უსაფრთხოების შესახებ. ამის საფუძველზე შეიძლება საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომპონენტის შექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის სჭირდება საქართველოს სამხედრო ინტერესებზე ზრუნვა. ასეთი რეალობის წინაშე ვდგავართ.

# დასანგრევია თუ არა ახალი შენობები

სამშენებლო ბუმი, რომელმაც დედაქალაქი მთლიანად მოიცვა, შესაძლოა, დამანგრეველი აღმოჩნდეს.

გეოლოგები და სეისმოლოგები იმ საფრთხეებზე საუბრობენ, რომელიც შესაძლოა, ძლიერ მიწისძვრას მოჰყვეს. პრობლემა ქაოტური და უკონტროლო მშენებლობებია. სპეციალისტები ამბობენ, რომ ახლადაშენებული კორპუსების დიდი ნაწილი საშუალო დონის მიწისძვრასაც კი ვერ გაუძლებს.



პრობლემა გეოლოგიური დასკვნაა, რომელიც კორპუსის მშენებლობამდე გაიცემა. გეოლოგიური რევიზია აჩვენებს გრუნტის სახეობას, სიღრმეს. ის არის მთავარი სახელმძღვანელო სამშენებლო მასალის, ტექნოლოგიის, მთელი პროექტისათვის მომავალში.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმოლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორი, თეა გოდოლაძე, ამბობს, რომ გეოტექნიკური სამუშაოები ყალბდება და 100 ლარად ნებისმიერ ფურცელს იყიდი. ამასთან, გეოლოგების ლიცენზირება არ არსებობს და, შესაბამისად, ამ პროფესიის ადამიანების კონტროლის მექანიზმი სახელმწიფოს არა აქვს.

თბილისში არსებული სამშენებლო პოლიტიკის თანახმად, დამკვეთი ვალდებულია, არქიტექტურის სამსახურს, სხვა საბუთებთან ერთად, წარუდგინოს გეოტექნიკური დასკვნაც. დასკვნაზე კი კერძო კომპანიები და ფიზიკური პირები მუშაობენ. ქანების შესწავლის პროცესსა და შედეგს სახელმწიფო არ აკონტროლებს. ის ექსპერტს უპირობოდ ენდობა.

არამხოლოდ გეოლოგიურ ექსპერტიზაზე, მერია პასუხს არც მშენებლობის ხარისხზე აგებს, რომელიც საქართველოში უკიდურესად მოძველებული ნორმებით რეგულირდება. 4,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა თბილისში 2002 წელს დაფიქსირდა. სეისმოლოგები ასეთ რყევას სუსტი მიწისძვრის კატეგორიაში მიითვლიან. მიუხედავად ამისა, თბილისში 12.000 შენობა დაზიანდა, უკლებლივ ყველა სკოლა, რის გამოც სასწავლო პროცესი შეჩერდა. იყო მსხვერპლიც. გარდაიცვალა 7 ადამიანი.

კომპანია „GDG+“-ის დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე არ ეთანხმება სეისმოლოგებისა და გეოლოგების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი აშენებული ან მშენებარე კორპუსები არამდგრადია. მისი თქმით, დედაქალაქში არ მოიძებნება მშენებელი, ვინც გეოლოგიურ დასკვნას არ გააკეთებს, რადგან აღნიშნული ყველაზე მნიშვნელოვანია კონსტრუქციული სქემის შესადგენად.

— არ ვიცი, რა ხდება რეგიონებში, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ქალაქში რომელიმე კორპუსი სეისმურად არამდგრადი და საშიში იყოს. პირადად, ჩვენ ყოველთვის პროფესიონალ გეოლოგებთან დავდივართ. რაც შეეხება თავად მშენებლობის ხარისხს, სიმართლეა რომ ეს მხარე ძველი ნორმებით რეგულირდება, თუმცა არსებობს პროგრამა, რომელიც მაღალ დონეზეა შემუშავებული და სწორედ ამის მიხედვით ვმოქმედებთ, ამიტომ არც ამ მიმართულებაშია რაიმე ხარვეზი, — აცხადებს წაქაძე.

ბეჟან წაქაძის პოზიციას იზიარებს კომპანია „რედკოს“ პროექტების მენეჯერი მალხაზ კუნელაურიც. მისი თქმით, აღნიშნული საკითხის შესახებ მუშაობა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

— რის საფუძველზე აკეთებენ სეისმოლოგები და გეოლოგები ამ განცხადებას, ჩემთვის გაუგებარია. თუ არის კონკრეტული შემთხვევა და გაკეთდა ექსპერტიზა, მაშინ ეს საქმე ინდივიდუალურად უნდა შეისწავლონ, — აცხადებს კუნელაური.

მისივე თქმით, არასწორია გეოლოგების ლიცენზირების დღის წესრიგში დაყენების საკითხიც, რადგან ამ გზით შესაძლოა კორუფციის ახალი წყარო გაჩნდეს.

— არ ვეთანხმები არც გეოლოგების ლიცენზირების აუცილებლობას. ეს არ არის კვალიფიცირებული საქმის განმსაზღვრელი. იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე კომპანიას ლიცენზია მიენიჭება, ამან შესაძლოა კორუფციის ახალი წყარო გააჩინოს და ბაზარზე გარკვეული პროდუქტების მიღების შესაძლებლობაც გააძვიროს. ზოგადად მიმაჩნია, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროცესები ნაკლებად ბიუროკრატიული უნდა იყოს და იმედია, ასეც იქნება, — განმარტავს კუნელაური.

ერთადერთი, ვინც აღნიშნულ მიმართულებაში შესაძლო ხარვეზებს ეთანხმება, კომპანია „საბა კონტრაქშენის“ ხელმძღვანელი ლევან თარგამაძეა. მისი მტკიცებით, კერძო დაკვეთებზე არ ვრცელდება სავალდებულო ზედამხედველობა, ამიტომ შეცდომები შეიძლება არსებობდეს.

— ჩვენი მიმართულება საბინაო კორპუსების მშენებლობა არ არის, ძირითადად სახელმწიფო პროექტებზე ვმუშაობთ, სადაც სავალდებულო ზედამხედველობის სხვა სისტემაა. რაც შეეხება კერძოს, იქ შეიძლება რაიმე შეცდომები იპარებოდეს და ზედამხედველობის აუცილებლობის შემთხვევაში ხარისხი ალბათ უფრო იქნება დაცული, — აღნიშნავს თარგამაძე.

მისივე თქმით, სხვა საკითხია კონკრეტულად სეისმური პრობლემა, რადგან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო კონსტრუქციები გათვლილია 8-ბალიან სისტემაზე.

— როგორც ვიცი, ყველა კონსტრუქცია სწორედ 8-ბალიან სისტემაზეა გათვლილი და ის თუ ტექნიკური ნორმების დაცვითაა აშენებული, მაშინ პრობლემა არ უნდა იყოს. რაც შეეხება თავად მშენებლობის ხარისხს, ვფიქრობ, კარგი სტანდარტებია ჩვენთან. უბრალოდ, მთავარია, დავიცვათ ეს სტანდარტი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამ კუთხით რაიმე მნიშვნელოვან სირთულეს ვერ ვხედავ, მაგრამ, რაც შეეხება ზედამხედველობის საკითხს, ეს ალბათ საჭიროა, — აცხადებს თარგამაძე.

# „როცა ამბობენ, რომ ბიზნესმენს სახელმწიფოზე უკეთესად შეუძლია რესურსების განაწილება, ეს გადასახადებზე თავის არიდების სქემაა“

საქართველოში მოსალოდნელ საპენსიო რეფორმაზე, კერძოდ, საპენსიო ფონდების შექმნაზე, ასევე ანტიდემპინგური კანონის საჭიროებაზე, ე.წ. ესტონურ მოდელსა და სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ თემებზე „ბანკები და ფინანსები“ ყოფილ ფინანსთა მინისტრს, „საქართველოს დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანიის“ დირექტორ მირიან გოგიაშვილს ესაუბრა.

***— ბოლო პერიოდში აქტიური განხილვები მიმდინარეობს საპენსიო რეფორმის ამოქმედებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ეკონომისტთა და ექსპერტთა შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. როგორ შეაფასებთ საპენსიო რეფორმას და რეალურად რამდენად ეფექტური იქნება აღნიშნული რეფორმა როგორც მოსახლეობისთვის, ისე ეკონომიკისთვის?***

— მე არ ვიცნობ არცერთ ეკონომისტს დედამიწაზე, ვინც შეიძლება ამის წინააღმდეგი იყოს. შეიძლება ვიღაც პოლიტიკოსმა პოლიტიკური განცხადება გააკეთოს იმასთან დაკავშირებით, რომ ამის წინააღმდეგია. ეკონომისტი ამის წინააღმდეგი ვერ იქნება.

ეკონომიკის თეორიას საფუძვლად უდევს გრძელი ფინანსები, დაგროვებითი სისტემა, შიდა ვალუტით შექმნილი გრძელი ფინანსები და ა.შ.

ეს არის მათ შორის სოციალური პოლიტიკა, რომლის წინაშეც მალე აუცილებლად დავდგებით და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი პენსია გვაქვს მსოფლიოში, ასევე რეგიონში, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ არასწორი საპენსიო პოლიტიკა გვაქვს.

დაგროვებითი სისტემა არის ყველაზე დროული და საჭირო ნაბიჯი, რომელიც შეიძლება ახლა გადაიდგას. მეტსაც გეტყვი, თუ ჩვენ რაიმე შეცდომას ვუშვებთ, ეს არის ის, რომ იმავე ნაბიჯებს არ ვდგამთ დაზღვევის მიმართულებით. ამაზე ლმობიერ სისტემას 2+2+2, რომელიც საქართველოს მთავრობამ შემოგვთავაზა, მე ეჭვი მეპარება, რომ მსოფლიოში ამაზე ლმობიერი სისტემა შემოთავაზებული იყოს საპენსიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

ეს არის ყველაზე უმტკივნეულო და საინტერესო თემა. ბევრი პოლიტიკოსი ამბობს, რომ დაუტოვეთ ადამიანს თავისუფალი არჩევანის საშუალება, გადაწყვიტოს თვითონ. მაშინ საერთოდ გადასახადები არ გადავახდევინოთ და თვითონ გადაწყვიტოს, სად წაიღებს თავის ფულს. ქვეყანაში არავინ ლაპარაკობს ოპტიმალურ საგადასახადო ტვირთზე, არავინ ლაპარაკობს იმ მექანიზმებზე, რომლებიც ქვეყანას სჭირდება იმისთვის, რომ განვითარდეს.

ყველა ლაპარაკობს იმაზე, რომ ადამიანი იყოს თავისუფალი და თვითონ გადაწყვიტოს, სად წაიღოს თავისი ფული — ეს არის არასწორი მიდგომა. არცერთ ქვეყანაში ასეთი მიდგომა არ ყოფილა.

***— საპენსიო რეფორმის ამოქმედების პარალელურად, მის ძირითად დადებით მხარედ კაპიტალის ბაზრის განვითარება სახელდება. რეალურად რა თვალსაზრისით შეუწყობს ხელს აღნიშნული რეფორმა კაპიტალის ბაზრის განვითარებას? აქვე დავაკონკრეტებ, საბოლოოდ გაურკვეველია, თუ როგორ მოხდება ფონდში აკუმულირებული თანხების ინვესტირება. არსებობს მოსაზრება, რომ თანხები დაბანდდება საზღვარგარეთ ურისკო ფასიან ქაღალდებში, შესაბამისად, თუ ფონდის სახსრები საქართველოდან გაედინება, რამდენად რეალურია ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება?***

— კანონში ზუსტად გაწერილია, თუ სად მოხდება აკუმულირებული თანხების დაბანდება. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს თანხები ადგილობრივ ბანკებში იქნება განთავსებული, მაგრამ ეს არის აბსოლუტურად ობიექტური რეალობა. წლების განმავლობაში ქვეყანაში ერთადერთი სწორად ფუნქციონირებადი სისტემა არსებობდა — საბანკო სექტორი.

ეს სექტორი ყველაზე მეტად რეგულირებული სექტორია, რომელიც აღმოჩნდა ყველაზე წარმატებული სექტორი საქართველოში. დღეს საქართველოში კაპიტალის ბაზარი საერთოდ არ არის განვითარებული. არ არსებობს არანაირი მაჩვენებელი იმისა, რომ უახლოეს 2 წელიწადში იქნება ეს სერიოზული სექტორი. შესაბამისად, დაგროვებითი სისტემიდან აკუმულირებული თანხა უნდა განთავსდეს სადღაც. იგივე საკითხი იყო, როდესაც ფინანსთა სამინისტრომ ხაზინაში არსებული ნაშთები კომერციულ ბანკებში დეპოზიტებად განათავსა.

ნებისმიერი ეკონომისტი პირველადი შეხედვით, რა თქმა უნდა, იქნება წინააღმდეგი რომ ეს თანხები განთავსდეს ბანკებში, მაგრამ ამ თანხების გარდამავალ ნაშთად გადატანა სერიოზული დანაშაულია, რადგან ეს თანხები ეკონომიკაზე არ მუშაობს და, ფაქტობრივად, კლავ ეკონომიკისთვის ამ თანხებს.

გამოსავალი ფინანსთა სამინისტროს არ გააჩნდა, იმიტომ რომ სხვა საფინანსო



სექტორი განვითარებული არ არის. ამიტომ, ცუდსა და უარესს შორის შეიძლება ითქვას, რომ მიიღო ცუდი გადაწყვეტილება. ეს ქმედება აბსოლუტურად ლოგიკური იყო. იგივე გადაწყვეტილება არის საპენსიო ფონდის შემთხვევაში მიღებული. უნდა აღინიშნოს, რომ „თიბისი ჯგუფის“ სახელით თბილისის ბირჟა საკმაოდ განვითარდება და ეს კაპიტალის ბაზრის განვითარებას ხელს შეუწყობს. ყველა წინაპირობა იქმნება საიმისოდ, რომ მომავალში ფინანსთა სამინისტრომაც, სადაზღვევო კომპანიებმა, საპენსიო ფონდებმაც თანხები განათავსონ საქართველოში, კაპიტალის ბაზარზე.

თავის დროზე ბანკები რომ არ დარეგულირებულიყვნენ სწორად, მაშინ დღეს ბანკებიც არ გვექნებოდა ქვეყანაში.

***— 2017 წლიდან რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ესტონური მოდელის შემოღება საქართველოში და, თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა აღნიშნული რეფორმა?***

— ამ რეფორმის შედეგებზე ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეულ პერიოდში ვნახავთ კაპიტალიზაციის მიმართულებით რა შედეგი ექნება ამ რეფორმას და როდესაც გავაანალიზებთ ეს რისი შედეგი იყო, საგადასახადო ცვლილებების, თუ სხვა რაიმე ფაქტორის.

ზოგადად, ჩემთვის ხშირ შემთხვევაში მისასალმებელი არ არის, როცა ძალიან ბევრი იძახის, რომ ბიზნესმენს აქვს უკეთესი შესაძლებლობა გადაანაწილოს თავისი მოგება, ვიდრე ხელისუფლებას, ეს, გადასახადებზე თავის არიდების სქემაა, მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ ეს მექანიზმი არის სერიოზული მასტიმულირებელი იმისა, რომ შეიცვალოს კაპიტალიზაცია და პოტენციური შიდა პროდუქტის მაჩვენებელი გაიზარდოს, რომელიც ამ ეტაპზე ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაშინ, ეს, რა თქმა უნდა, წარმატებული იქნება. მანამდე კი ამაზე მსჯელობა არასწორი იქნება.

***— ბოლო პერიოდში გახშირებულია საუბარი ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა მთავრობა ამ მიმართულებით ქმედით ნაბიჯებს არ ან ვერ დგამს. თქვენი აზრით, სჭირდება თუ არა საქართველოს ანტიდემპინგური კანონმდებლობა და ხომ არ შეუშლის აღნიშნული კანონმდებლობის შემოღება ბიზნესის თავისუფლად კეთებას ხელს?***

— ჯერ უნდა ჩამოვყალიბდეთ რა არის ბიზნესის თავისუფალი კეთება. თუ, ანარქია, რასაც ბევრი ითხოვს, არის ბიზნესის თავისუფლად კეთება, მაშინ ამ მოდელს არცერთ ქვეყანაში განვითარების ეკონომიკურ თეორიაში საფუძველი არ ჰქონია და ამას არავინ ეთანხმება.

თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ანტიდემპინგური კანონმდებლობა იქნება სწორად ადაპტირებული, სწორად მიღებული და სწორად ამოქმედებული, ეს არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქვეყნის განვითარებისთვის. იმიტომ, რომ თუ ჩვენ ვნახავთ ეკონომიკის განვითარების ნებისმიერ მიმართულებას, ვთქვათ კლასიკური, ნეოკლასიკური, ენდოგენური, ლიბერალური, კეინსიანური, ყველა აღიარებს, რომ ანტიდემპინგური კანონმდებლობა აუცილებელია სხვადასხვა დოზითა და რეგულაციებით.

თუ ჩვენ რაიმე პრობლემა გვაქვს დღეს, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა არის, რომ ანტიდემპინგური კანონმდებლობა ქვეყანაში არ მუშაობს, ისე, როგორც უნდა მუშაობდეს. თუმცა, პრობლემა სხვა რამეშიც არის, წლების განმავლობაში ბიზნესის სტრუქტურა ჩამოყალიბდა ისეთნაირად, რომ ანტიდემპინგური კანონმდებლობა იყო იგნორირებული. ჯაჭვები იმპორტიდან საცალო ვაჭრობამდე და ასევე, წარმოებიდან საცალო ვაჭრობამდე, იყო ერთ სუბიექტში მოქცეული. ამის დარღვევა ძალიან ძვირი დაუჯდება სახელმწიფოს, მაგრამ ეს ხარჯი უნდა აიტანოს.

ეკონომიკა არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ფარდობითი უპირატესობა გვქონდეს ავტომატურად ყველა სექტორში. ფარდობითი უპირატესობა არის რაღაც მიმართულებით, რომელიც ხარჯების ოპტიმიზაციას უწყობს ხელს და ანტიდემპინგური კანონმდებლობა ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია.

არა მარტო იმით, რომ ვთქვათ ფასწარმოქმნაში და შემდგომში ინფლაციის რეგულირებაში აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა და კონკურენციის შექმნაში, არამედ იმაში, რომ თვითონ ბიზნესმენმა თავისივე საქმეში მიიღოს ფარდობითი უპირატესობა და ჰქონდეს მაქსიმალური მოგება.

ყველაზე მთავარია სპეციალიზაცია საქმიანობაში.

მაგალითად, ვსაუბრობთ წამლების სექტორზე, ლოჯისტიკური კომპანიები, რომლებიც იმპორტით არიან დაკავებული, არ შეიძლება, ისეთივე ძლიერები იყვნენ წარმოების ნაწილშიც.

ასევე ვერ იქნებიან ისევე ძლიერები საცალო ვაჭრობაში, ამიტომ სპეციალიზაცია, რომელიც პირს გააჩნია, ის სეგმენტის ნაწილში იძლევა გარკვეულ უპირატესობას. ეს არის წმინდა განვითარების კუთხით და სოციალური კუთხით ამისი მნიშვნელობა. რაც შეეხება შემდგომში უკვე ოლიგოპოლიებს, ოლიგოფსონიებსა და მონოპოლიებს, რის წინააღმდეგაც არის ეს მიმართული, ამ შემთხვევაში ასეთი სტრუქტურები ძალიან დიდ მოგებაზე გადიან, იმიტომ რომ მათ არ აქვთ რეგულირების საფუძველი და მათი მოგება შეუძლია გადაანაწილონ, ახალი სტრუქტურები არ წარმოიქმნება, განვითარებას ხელი არ ეწყობა და, შესაბამისად, უპირატესობას ვერავინ ვეღარ იღებს. ხშირ შემთხვევაში საქართველოში ამის ფაქტები არსებობს.

***— კომერციული ბანკები ყოველ წელს რეკორდულ მოგებაზე გადიან. ამასთან, ბანკების არაპროფილური აქტივების ფლობასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი კრიტიკა არსებობს. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა არასაბანკო საქმიანობის გამიჯვნა ჰოლდინგების დონეზე და რატომ ფერხდება აღნიშნული ინიციატივის განხორციელება?***

— ბანკების არაპროფილური საქმიანობის გამიჯვნა საჭირო და აუცილებელია. სასიხარულოა, რომ ეს პროცესი დაიწყო და აბსოლუტურად ყველა ბანკს განესაზღვრა, რა არის საბანკო და რა არის არასაბანკო საქმიანობა.

კანონი ამასთან დაკავშირებით შემოდგომაზე იქნა მიღებული. ეროვნული ბანკი საკმაოდ დიდი ხანია ამზადებდა ამ კანონს. იყო ბევრი წინააღმდეგობა. დღევანდელი მდგომარეობით ეს კანონი გატანილია და იწყება მისი იმპლემენტაცია. ეს არ იქნება მოკლევადიანი პროცესი, ეს იქნება გრძელვადიანი, რადგან ჰოლდინგებიც კი რეგულირების ქვეშ მოექცა. ეს უკვე გაკეთებულია და ეს არის საკმაოდ რთული პროცესი, თუმცა — აუცილებელი.

***— აუცილებლად მინდა გკითხოთ დეპოზიტების დაზღვევაზე. ამ ეტაპზე სავალდებულო დაზღვევის ლიმიტი ძალიან მცირეა და მხოლოდ 5000 ლარს შეადგენს. სპეციალისტებში არის მოსაზრება, რომ არსებული მოდელი საფინანსო სექტორის სტაბილურობას რეალურად ვერ უზრუნველყოფს. რამდენად იზიარებთ ასეთ მოსაზრებას და, ზოგადად, რა იქნება თქვენი რეკომენდაცია დეპოზიტების დაზღვევის განვითარების თვალსაზრისით?***

— თვითონ პრინციპი, დეპოზიტი 5.000 ლარამდე არის დაზღვეული, არის ძალიან კარგი და მისასალმებელი, რადგან ეს ნდობას ამყარებს. ეს დიდი დეპოზიტების მოზიდვის საშუალება არ არის, თუმცა მცირედი დეპოზიტები, რომელიც მთლიანი დეპოზიტების ძალიან დიდი წილს შეადგენს, ამ შემთხვევაში ძალიან სერიოზული დაზღვევის ქვეშ არის სახელმწიფოს მხრიდან.

სასურველია დეპოზიტები იყოს დაზღვეული 100.000 ლარამდე, მაგრამ ამას ჩვენი ეკონომიკა ამ ეტაპზე ვერ აიტანს. ჩვენ ყოველთვის უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რისი შესაძლებლობა გვაქვს. ძალიან ბევრი გამოდის და ამბობს, რომ კარგია დღეს ქვეყანაში შვეიცარიული ბანკები გვქონდეს, მაგრამ მითხარით ვინ გააკეთებს ამას დღეს. ეს ხომ შეუძლებელია. აქამდე ხომ უნდა მივიდეთ ჩვენ. მისასვლელი გზა არის მათ შორის დეპოზიტების დაზღვევა.

## 500 კილოგრამზე მეტი საეჭვო წარმომავლობის ხორცი განადგურდება



სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა ხორცის სარეალიზაციო ობიექტების შემოწმებისას ვადაგასული და საეჭვო წარმომავლობის ხორცი გამოავლინეს. სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში დარღვევები დაფიქსირდა შპს „ახალი ხორცის“ საბითუმო-სარეალიზაციო ობიექტში, რის გამოც თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა 500 კილოგრამზე მეტი ვადაგასული და ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე ხორცი დალუქეს. ბიზნესოპერატორი კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმდა და ხორცის განადგურება დაევალა, რაზეც ზედამხედველობას სურსათის ეროვნული სააგენტო განახორციელებს. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შპს „ახალი ხორცი“ ანალოგიური დარღვევებისთვის თვის დასაწყისშიც დააჯარიმა.

## ავტომატურად წყდება მძღოლთან ხელშეკრულება, თუ მგზავრს ეუბნება, რომ ტერმინალი არ გამოიყენოს და ნაღდი ფულით გადაიხადოს

პირველივე ჯერზე წყდება მძღოლთან ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მგზავრს ეუბნება, რომ ტერმინალი არ გამოიყენოს და ნაღდი ფულით გადაიხადოს, — ასე პასუხობს „თბილისის მიკროავტობუსი“ მგზავრთა ნაწილის ინფორმაციას, რომ მძღოლები მგზავრობის საფასურის ბარათით გადახდას აპროტესტებენ და მათგან ნაღდი ფულით გადახდას მოითხოვენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მიკროავტობუსის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია მიქიაშვილმა განუცხადა, კომპანიას აღნიშნულთან დაკავშირებით მკაცრი რეაგირება აქვს.

— პირველივე ჯერზე წყდება მძღოლთან ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მგზავრს ეუბნება, რომ ტერმინალი არ გამოიყენოს და ნაღდი ფულით გადაიხადოს. ასევე, ჩვენი მონიტორინგის სამსახური ყოველდღიურად იღებს ინ-



ფორმაციას ფარეხის ხელმძღვანელობისგან, რამდენად გამართულად მუშაობს მიკროავტობუსში ტერმინალი და იმ შემთხვევაშიც, თუ ის გაფუჭებულია და მძღოლმა არ შეატყობინა ფარეხის ხელმძღვანელობას, ავტომატურად წყდება მძღოლთან ხელშეკრულება. თუ თქვენ მოგვაწვდით იმ ავტომობილების სახელმწიფო ნომრებს ან მძღოლის სახელსა და გვარს, რომელიც გამოკრული უნდა იყოს წინა საქარე მინაზე, რეაგირებას მოვახდენთ. გარდა ამისა, ნებისმიერ მგზავრს შეუძლია დარეკოს კომპანიის ცხელ ხაზზე დილის 08:00 საათიდან 22:30 საათამდე.

გარდა ამისა, თუ მძღოლი რაიმე მიზეზით აგვიანებს გასვლას და მგზავრს პრობლემა ექმნება, ამ შემთხვევაშიც მძღოლი ჯარიმდება. კონდიცირების სისტემა თუ გამორთული აქვს მძღოლს ზაფხულის პერიოდში, პირველ შემთხვევაში 10 დღით ეკრძალება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, განმეორების შემთხვევაში 1 თვით, ხოლო მესამე შემთხვევის დაფიქსირებისას ხელშეკრულებას ვუწყვეტთ. ასევე ჯარიმები და სანქციებია სიგარეტის მოწევასა და მომხმარებელთან კონფლიქტური სიტუაციის შექმნაზე. ამის შესახებ მძღოლები ინფორმირებული არიან, — განაცხადა მიქიაშვილმა. რაც შეეხება მძღოლების ყოველდღიურ ხარჯებს, „თბილისის მიკროავტობუსში“ აცხადებენ, რომ აღნიშნული ხარჯები გაწერილია მძღოლთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით და ამის შესახებაც მძღოლებს ინფორმაცია აქვთ.

— თქვენ რომ გთხოვდნენ სამსახურში ყოველდღიურად თქვენი თანხის მიტანას, მიიტანდით? ასევეა ამ შემთხვევაშიც.

არავინ არაფრის თანხას არ ამატებს. დაფიქსირებულია თითოეულ ხაზზე რამდენია მძღოლის ყოველდღიური გადასახადი, რაც არ იცვლება. ეს გადასახადი ყველა სამარშრუტო ხაზის შემთხვევაში დგინდება კილომეტრაჟისა და არსებული ტრაფიკის, მგზავრთა ნაკადების მიხედვით.

გარდა ამისა, ხდება ცვეთის ფულის, საწვავის ხარჯების, ნაწილების ფულის დაანგარიშება. საწვავისთვის და გამართულობისთვის თანხას იხდიან. მაგრამ ყველა დამატებით დიდ ხარჯს, რომელიც შესაძლებელია რთულად დასაფარი იყოს მძღოლისთვის, მაგალითად, იატაკებისა და სავარძლების გამოცვლა და ა.შ., იფარება კომპანიის მიერ.

ასევე, ზაფხულის პერიოდში კონდიცირების სისტემის გამართვის ხარჯებიც. გარდა ამისა, კომპანია ითვალისწინებს მძღოლის სოციალურ მდგომარეობას, ავტოსატრანსპორტო საშუალების მდგომარეობას და ამ ხარჯებს კომპანია თავის თავზე იღებს, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი ვალდებულება არ გახლავთ, ეს არის მძღოლის ვალდებულება და ხელშეკრულებაში უწერია, — განაცხადა მიქიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მიკროავტობუსების მგზავრთა ნაწილის ინფორმაციით, მძღოლები მგზავრობის საფასურის ბარათით გადახდას აპროტესტებენ და მათგან ნაღდი ფულით გადახდას მოითხოვენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ რამდენიმე მგზავრმა განუცხადა, აღნიშნული პრობლემის წინაშე ბოლო პერიოდში თითქმის ყოველდღიურად დგებიან. თბილისს დღეს დაახლოებით 1.800 მიკროავტობუსი ემსახურება.

# სირია: ომის ხანძარი ახალი ძალით აზვირთდა



სულ რაღაც ერთი თვის წინ ზოგიერთი ექსპერტი სირიის ომის დასასრულზე საუბრობდა. მათ მხედველობიდან ერთი რამ რჩებოდათ: ომის უმთავრესი მიზეზი — დიქტატორი ასადი ხელისუფლებაში რჩებოდა, მეტიც, რუსეთის დახმარებით ის გაძლიერდა და თავისი ხელისუფლების უკვე მთელ სირიაზე გავრცელება მოინდომა. შედეგმაც არ დაახანა. სირიულ მოვლენებში გარე ძალების ჩარევის ხარისხი გაიზარდა. ომის ხანძარიც ახალი ძალით აზვირთდა.

სწორედ ასადის ბრძანებით სირიის შეიარაღებულმა ძალებმა აღმოსავლეთ გუტას ბომბარდირება დაიწყეს. ქალაქის შტურმმა შედეგი არ გამოიღო.

აღმოსავლეთ გუტა ომის პირველი მძლავრი კერა გახდა.

მეორე არანაკლებ საშიშ კერას ისრაელ-ირანის კონფრონტაცია წარმოადგენს. ის არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკურ სფეროს მოიცავს. ირანულმა უპილოტო თვითმფრინავებმა ისრაელის ტერიტორიაზე დარტყმა განახორციელეს. ისრაელი ვალში არ დარჩა. ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ ირანი აგრესიაში დაადანაშაულა. ირანმა, პირიქით, აგრესორად ისრაელი გამოაცხადა.

მესამე კერას აფრინთან შექმნილი მდგომარეობა წარმოადგენს. თურქეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ აფრინში ქურთული ანკლავის შექმნას არ შეეგუება. ერდოღანის ბრძანებით, იქ ჯარი შეიყვანეს. ქურთები, რომლებიც სისხლისაგან იცლებოდნენ, ასადის ხელისუფლებას გაურიგდნენ. მალე აფრინისკენ სირიის დიქტატორის მომხრეები დაიძრნენ.

— პრეზიდენტ პუტინს დავუკავშირდი და ვუთხარი, რომ თუ ასადის ბანდები აფრინისკენ მსვლელობას არ შეწყვეტენ, მათ გავანადგურებთ, — თქვა პრეზიდენტმა ერდოღანმა.

ამან გაჭრა, თუმცა პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია. ომის სამივე კერის ჩაქრობა ვერ ხერხდება. გრძელდება ბრძოლები როგორც აფრინთან, ასევე აღმოსავლეთ გუტასთანაც. არ წყდება ირან-ისრაელის დაპირისპირებაც.

— სირიაში მშვიდობის დამყარება ერთ ადამიანზე, ანუ ასადზეა დამოკიდებული. თუ ასადი წავა, ომიც შეჩერდება, — ამბობს რადიო „თავისუფლება“.

ასადი კი წასვლას არ აპირებს. რუსეთი მას მხარს უჭერს. სირიაშიც ომი გრძელდება.

# ნიკი ჰეილი: „აშშ მხარს დაუჭერს იმას, რასაც ისრაელი და პალესტინა გადაწყვეტენ“

— აშშ-ის პრეზიდენტის უფროსი მრჩეველი და სიძე, ჯარედ კუშნერი და საერთაშორისო მოლაპარაკებებში ამერიკის ადმინისტრაციის სპეციალური წარმომადგენელი ჯეისონ გრინბლატი მალე დაამთავრებენ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის რეგულირების გეგმაზე მუშაობას, — განაცხადა აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ.

მისი თქმით, ჯარედ კუშნერი და ჯეისონ გრინბლატი ორივე მხარესთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

— ისინი მუშაობენ გეგმაზე. ეს გეგმა არცერთი მხარისთვის არ იქნება მისაღები და არცერთი მხარისთვის არ იქნება საძულველი. ეს დიალოგის დაწყების საფუძველია, — აღნიშნა ჰეილიმ.

გეგმის შედგენისას უსმენენ როგორც პალესტინელებს, ისე ისრაელელებს.

— ეს მათი გადასაწყვეტია. თუ ისინი გადაწყვეტენ, მხარი დაუჭირონ ორი სახელმწიფოს პრინციპს, აშშ მხარს დაუჭერს ამ პრინციპს. თუ ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას გარკვეული საზღვრების შესახებ, აშშ ამ საზღვრებს მხარს დაუჭერს. ვფიქრობ, ორივე სახელმწიფო მხარს უჭერს ვითარების რეგულირებას „ორი სახელმწიფოს პრინციპზე“ დაყრდნობით, — აღნიშნა ჰეილიმ.

სამშაბათს გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს ღია სხდომა ახლო აღმოსავლეთში ვითარებასთან დაკავშირებით პალესტინის სახელმწიფოს პრეზიდენტ მაჰმუდ აბასის მონაწილეობით. მან განაცხადა, რომ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით რეგულირების საკითხი ჩიხშია შესული აშშ-ის ცალმხრივი გადაწყვეტილების გამო, რომელმაც იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა.

თავის მხრივ, ჰეილიმ თავის გამოსვლაში აბასს ურჩია, ვაშინგტონის ეს ნაბიჯი დაევიწყებინა და ამის ნაცვლად კონფლიქტის რეგულირება ეცადა კომპრომისზე დაყრდნობით.



# ჟან-კლოდ იუნკერი: „იტალიაში ბრექსიტის მსგავს პროცესს არ გამოვრიცხავ!“

4 მარტს იტალიის საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. ექსპერტები არცთუ სანუგეშო პროგნოზებს აკეთებენ. ამას ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერიც ეთანხმება.

— იტალიაში პოპულისტური ანტიევროპული ორიენტაციის ძალების გავლენა გაიზარდა. პირადად მე ბრექსიტის მსგავს მოვლენებს არ გამოვრიცხავ! — თქვა იუნკერმა.

ევროკომისიის თავმჯდომარის აზრით, ევროკავშირი იტალიაში ყველაზე უარესი სცენარის განვითარებისთვის მზად უნდა იყოს და ამას ეფექტური კონტრტაქტიკა დაუპირისპიროს.

# პეტერბურგში ტერაქტი აღკვეთეს

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა პეტერბურგში შუა აზიის მცხოვრები დააკავა. ის აპირებდა, ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებები განეხორციელებინა.

# არგენტინაში რუსეთის საელჩოს სკოლაში 400 კილოგრამი კოკაინი ამოიღეს




არგენტინაში რუსეთის საელჩოს სკოლაში 400 კილოგრამი კოკაინი ამოიღეს. ამის შესახებ არგენტინული მედია იუწყება.

კოკაინი 12 ჩანთაში ინახებოდა. აღნიშნულ საქმეზე 6 ადამიანი დააკავეს.

რუსეთისა და არგენტინის შესაბამისი უწყების ერთობლივი გამოძიების ფარგლებში ორი პირი — არგენტინაში, ხოლო ოთხი რუსეთში დააკავეს.

ნარკოტიკები ჯერ კიდევ 2016 წელს აღმოაჩინეს, თუმცა ამბავი მხოლოდ ახლა გასაჯაროვდა.

2016 წლის 14 დეკემბერს არგენტინაში რუსეთის ელჩმა ვიქტორ კორონელიმ არგენტინის უსაფრთხოების სამინისტროს შეატყობინა, რომ არგენტინაში რუსეთის საელჩოს სკოლაში დიპლომატიური ბარგი აღმოაჩინეს საეჭვო ნივთიერებით. მას შემდეგ, რაც პოლიციამ დაადგინა, რომ ეს კოკაინი იყო, ის ფქვილით ჩაანაცვლეს, ბარგში ჯიპიეს სისტემა დააყენეს და რუსეთში მის გადაგზავნას შეფერხება არ შეუქმნეს.

ერთობლივი გამოძიების ფარგლებში რუსეთში 2017 წლის ბოლოს ოთხი პირი დააკავეს, რომლებსაც ამ ბარგის წაღება სურდათ. ერთ-ერთი მათგანი არგენტინაში რუსეთის საელჩოს ყოფილი არადიპლომატი თანამშრომელი იყო. მას ბრალად ედება დიპლომატიური მისიის ტერიტორიაზე კოკაინით სავსე 12 ჩანთის შეტანა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# რას მოხმარდება „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების ხელში არსებული 400 მილიონი დოლარი?




## ნატო ტერორისტების წინააღმდეგ ახალ მისიას იწყებს



მარიამ მჭედლიშვილი

„ისლამური სახელმწიფოს“ დაშლით სირია-ერაყში რომ ტერორიზმის საფრთხე არ დამთავრებულა, ამაზე მსოფლიოს გაერომაც შეატყობინა. გაეროს დამკვირვებლებმა დაახლოებით ორი კვირის წინ არ გამორიცხეს „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებების გაერთიანება ალქაიდასთან.

ბრიტანული მედიის მონაცემებით, „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტებმა ომში დამარცხების შემდეგ სირიიდან და ერაყიდან გამოიტანეს 400 მილიონ დოლარზე მეტი. გარდა ამისა, ტერორისტები ათეთრებდნენ ფულს. ისინი შუამავლების დახმარებით ყიდულობდნენ საწარმოებს ერაყში. ტერორისტებმა შეძლეს თავიანთი სახსრების თურქეთში განთავსება ოქროს სახით. „ისლამურ სახელმწიფოს“ არ უჭირს თავისი მიძინებული განაყოფების რჩენა. ფულადი გადარიცხვებისთვის გამოიყენება არაფორმალური ქსელი.

„ისლამური სახელმწიფო“ მდიდრდებოდა ადამიანების გატაცების გზით გამოსასყიდის მოთხოვნის, ძარცვის, ნავთობისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის შედეგად. ჯიჰადისტები სურსათისა და სამშენებლო მასალების გაყიდვასაც კი ახერხებდნენ. სირიისა და ერაყის „შავ ბაზრებზე“ გამოტანილი იყო ისტორიული მემკვიდრეობის ნივთები.

აშშ-ის მეთაურობით შექმნილმა ანტიტერორისტულმა კოალიციამ ჯიჰადისტების სიმდიდრის დიდი ნაწილი გაანადგურა. ახლა ირკვევა, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ დიდი მატერიალური რესურსები შემორჩა.

„ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებების არსებობაზე სირიასა და ერაყში რეგიონში ნატოს ამოცანები მეტყველებს.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გადაწყვიტა, გააფართოოს ერაყის სპეცსამსახურების მხარდაჭერა.

ერაყის სპეცსამსახურების თანამშრომლების წვრთნა გაძლიერდება, რათა ისინი წინ აღუდგნენ ჯიჰადისტებს და არ მოხდეს ტერორისტების მომძლავრება.

ჯიჰადისტებთან ბრძოლაში მისიის გაფართოების თხოვნით ნატოს ოფიციალურმა ბაღდადმა და ანტიტერორისტულმა კოალიციამ მიმართეს.

ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო გაცოცხლებას ხელს უწყობს მოსახლეობის ნაწილის განწყობა. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ქალაქ მოსულის მცხოვრებლები ნეგატიურად არ იხსენებენ იმ დროს, როცა ქალაქი „ისლამური სახელმწიფოს“ ხელში იყო. ისლამისტებმა შექმნეს თავიანთი უწყებები, მოახერხეს სისუფთავის უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის გადასახადის ამოღება. მათ არ შეუფერხებიათ სასწავლო პროცესი. მოსულის მოსახლეობის მტკიცებით, ქალაქის წინანდელი ხელისუფლება კორუმპირებული იყო, ხალხს ცუდად ექცეოდა და პრობლემებს ვერ აგვარებდა.

როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული „ისლამური სახელმწიფოს“ უჯრედები მიძინებული არ არის.

„ისლამურმა სახელმწიფომ“ თავის თავზე აიღო დაღესტნის ქალაქ ყიზლარში მომხდარი ფაქტი. შენდობის კვირას ტერორისტმა სანადირო თოფით სროლა აუტეხა მართლმადიდებელი ეკლესიიდან გამოსულ მორწმუნეებს. ამ აქტმა 5 ქალი იმსხვერპლა. მრევლის რამდენიმე წევრი და 2 პოლიციელი საავადმყოფოში მოათავსეს. ტერორისტი როსგვარდიამ გაანადგურა. იგი აღმოჩნდა 22 წლის ხალილ ხალილოვი, რომელიც „ისლამურ სახელმწიფოში“ შარშან გაწევრიანდა.

სირია-ერაყში არსებობენ ტყვედ აყვანილი ტერორისტებიც. არსებობს მათი გუანტანამოს საპყრობილეში მოთავსების იდეა. ამას არ ეთანხმება ამერიკელი ექსპერტების ნაწილი. მათი აზრით, ეს ტერორისტები იმ ქვეყნებში უნდა დაბრუნდნენ, საიდანაც წარმოშობით არიან. ამერიკამ ისინი არ უნდა შეინახოს.

# ბორის ჯონსონი: „სანამ რუსეთი ყირიმს არ დააბრუნებს, სანქციები შენარჩუნდება“

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბორის ჯონსონის განცხადებით, რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მანამ უნდა შენარჩუნდეს, ვიდრე ყირიმი უკრაინას არ დაუბრუნდება. ამის შესახებ ბორის ჯონსონის განცხადებაშია ნათქვამი.

— ჩვენ ყველას გვაქვს ვალდებულება, რუსეთს მტკიცედ გავუწიოთ წინააღმდეგობა. ეს კი ნიშნავს ყირიმთან დაკავშირებული სანქციების შენარჩუნებას, ვიდრე ყირიმი კრემლის კონტროლის ქვეშ იქნება, — განაცხადა ბორის ჯონსონმა.

მისი თქმით, არცერთ ქვეყანას, რაც არ უნდა დიდი იყოს, არ შეუძლია მეზობელი ქვეყნის ნაწილებად დაყოფა.

ამასთან, ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყირიმში ჩატარებული ე.წ. რეფერენდუმი გაყალბებული იყო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# მაიკო კაჭკაჭიშვილი სიკვდილს გადაურჩა



კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი სიკვდილს გადაურჩა. ამ თვეში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ხელოვანის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა.

მაიკო კაჭკაჭიშვილი:

— რა თვალი მეცა ასეთი, ამ თვეში მეორედ გადავრჩი სიკვდილს...

ყავა გადმომივიდა და გაზი ჩაქრა. გამორთვა დამავიწყდა, დიდი ხანი გამოდიოდა გაზი. თავბრუ რომ დამეხვა, მერე გავიგე შიშინი, აივნამდე ძლივს გავაღწიე...

მოკლედ, გადავრჩი კიდევ... მესამე?!

# მისტერ ვალენტინი გიგა ყორღანაშვილი გახდა



წელიწადში ერთხელ ყველაზე სიმპათიური მამაკაცები საქართველოში მისტერ ვალენტინის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძვიან. წლიდან წლამდე კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა იზრდება და მათგან საუკეთესოს არჩევა ჟიურის სულ უფრო უჭირს.

წელს ყველაზე სიმპათიური მამაკაცებისთვის გამართული კონკურსი „მისტერ ვალენტინი" ჟიურის წევრებს შორის კამათით და დაპირისპირებით დასრულდა.

მისტერ ვალენტინის ჟიურის წევრები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და გამარჯვებულის გამოვლენაში ვერ შეთანხმდნენ.

ჟიურის ერთი ნაწილის სურვილი იყო, რომ მისტერ ვალენტინი 28 წლის მწვრთნელი ლევან შენგელია გამხდარიყო, მეორე ნაწილს კი ამ ტიტულის მფლობელად გიგა ყორღანაშვილის ხილვა სურდა.

კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, საბოლოოდ მისტერ ვალენტინის ტიტული გიგა ყორღანაშვილმა მოიპოვა.

# ნათია თოდუა გერმანიაში ევროვიზიის ფინალურ კონკურსში ბოლო ადგილზე გავიდა



გერმანული „ვოისის" ქართველი გამარჯვებული ნათია თოდუა გერმანიაში გამართულ ევროვიზიის ფინალურ კონკურსში ბოლო ადგილზე გავიდა.

გერმანიის წარსადგენად წლევანდელ ევროვიზიაზე 6 კონკურსანტი იბრძოდა. გერმანიის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კონკურსი პირდაპირ ეთერში გადასცა და ექვსივე კონკურსანტის წარდგენის შემდეგ, მაყურებელს მათთვის დარეკვის და დამესიჯების საშუალება მისცა.

კონკურსში პირველ ნომრად ნათია თოდუამ იმღერა და მისთვის დაწერილი პირველი სიმღერა „ჩემი საკუთარი გზა" შეასრულა. ეს ნათიას პირველი სინგლია, რომლის ტექსტიც ავტობიოგრაფიულივითაა და მელოდიაც საკმაოდ ენერგიული და ჰიტურია. ქართველი მომღერლის სინგლი უკვე ინტერნეტშია და მას ათასობით ნახვა, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

6 მონაწილისგან რჩეული ექსპერტთა ჟიურიმ, ევროვიზიის ჟიურიმ და მაყურებელმა გამოავლინა. ქართველმა მომღერალმა მხოლოდ 17 ქულა დააგროვა და ბოლო ადგილი დაიმსახურა. პირველ ადგილზე კი გერმანელი მომღერალი მიხაილ შულტე გავიდა.

მას შემდეგ, რაც 21 წლის აფხაზეთიდან დევნილმა ქართველმა მომღერალმა ნათია თოდუამ გერმანულ ვოისში გაიმარჯვა, მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა.

გერმანიამ ევროვიზია 2018-ისთვის 6 კონკურსანტი შეარჩია, რომლებიც 4.000 მსურველთა შორის საუკეთესოებად მიიჩნიეს. რჩეულებში მოხვდა გერმანული „ვოისის" გამარჯვებული ნათია თოდუა.

ნათიამ ვოისის მოგების შემდეგ, ფინალისტებთან და ორ ნახევარფინალისტთან ერთად გერმანიის ქალაქებში საკონცერტო ტურნე გამართა. მომღერალს გადაწყვეტილი აქვს, რომ სწავლას მუსიკალური მიმართულებით გააგრძელებს. ქართველი მომღერლის შესახებ აქტიურად წერს გერმანული პრესა და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ქართველი მომღერლის სახელს უკავშირდება, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმის კოკა-კოლას კორპორაციული საღამოა, სადაც ორგანიზატორებმა ნათია თოდუა მიიწვიეს და შეკრებილი მსმენელისთვის კონცერტი ჩაატარებინეს.

# ვაჟა აზარაშვილი მსმენელს ახალ ნაწარმოებებს წარუდგენს

კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი თავის ერთგულ მსმენელს ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებს წარუდგენს.

24 თებერვალს ჯანსულ კახიძის ცენტრში კამერული მუსიკის საღამო გაიმართება, სადაც კომპოზიტორის ახალი ნაწარმოებები შესრულდება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მევიოლინე ლელა მჭედლიძე, ჩელისტი სანდრო ჩიჯავაძე, ალტისტი თეიმურაზ ხარაძე, კლარნეტისტი შოთა გოგოძე და პიანისტები ნინო და თამარ ჟვანიები.

როგორც 81 წლის კომპოზიტორი აღნიშნავს, მუდმივად მუშაობს და ახალ-ახალ ნაწარმოებებს ქმნის.

ვაჟა აზარაშვილი:

— ჩემს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტები აქტიურად გაიმართა და საიუბილეო თარიღი კარგადაც აღინიშნა. ახლა ვატარებთ კამერული მუსიკის საღამოს, რომლის ორგანიზატორიც მუსიკოსი ნინო ჟვანიაა. კონცერტზე შესრულდება 5 კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოები და ხუთივე ახალია. შესრულდება კლარნეტის სონატა, სონატა ოთხ ხელში, წარმოდგენილი იქნება ახალი ტრიო სიმებიანი...

— ასაკი ხელს ხომ არ გიშლით მუშაობაში?

— არა. ვმუშაობ აქტიურად და ასაკს არ ვუჩივი. სურვილი მაქვს და ძალიან ბევრს ვმუშაობ.



— საზღვარგარეთ თუ იცნობენ თქვენ შემოქმედებას?

— საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში ჩემი ნაწარმოებები უცხოეთში აქტიურად სრულდება, რაც ძალიან მახარებს. სამომავლოდაც არაერთი კონცერტია დაგეგმილი, სადაც ჩემი ნაწარმოებები შესრულდება და მეც მოუთმენლად ველოდები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# რუსი და ბასკი გულშემატკივრების ჩხუბს პოლიციელი ემსხვერპლა

ევროპა ლიგის განმეორებით მეთექვსმეტედფინალურ მატჩზე ბილბაოში ატლეტიკთან საქომაგოდ მოსკოვის სპარტაკის 2.500 ფანი ჩავიდა. რუსების ადგილობრივ გულშემატკივრებთან ჩხუბის დროს 50 წლის პოლიციელი ინოსენსიო არიასა გარსია გარდაიცვალა.

პლაია მოიუას მოედანზე ნამდვილი ომი გაჩაღდა. დაპირისპირებამ ორ საათს გასტანა. ბასკმა და რუსმა ფანებმა იჩხუბეს. მათ შუშის ბოთლები და პეტარდები გამოიყენეს.

რუსმა გულშემატკივარმა პოლიციის მიმართულებით პეტარდი ისროლა, რომელიც გარსიას მოხვდა. პოლიციელს თავი დაუზიანდა. ის ბასურტოს საავადმყოფოში გულის შეტევით გადაიყვანეს. ექიმების ერთსაათიანი მცდელობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სავალალო შედეგზე უკვე გითხარით. მის გარდა, საავადმყოფოში გადაყვანილია 5 ადამიანი (3 რუსი), აგრეთვე დაპატიმრებულია 5 გულშემატკივარი (3 რუსი).




აიტორ ესტებანი, ბასკების ლიდერი ესპანეთის პარლამენტში:

— რატომ უშვებს უეფა ასეთ გუნდებს ევროპალიგაზე? ყველაფერს გავაკეთებ, რათა ყველა დამნაშავე მკაცრად დაისაჯოს. ისინი უნდა მოშორდნენ სტადიონებსა და მსოფლიო ფეხბურთს.

ხუან მარი აბურტო, ბილბაოს მერი:

— რუსებო, არ დაბრუნდეთ ბილბაოში! ჩვენ თქვენი დანახვა არ გვინდა! არანაირი ტოლერანტობა. ვინც ეს გააკეთა, პასუხს აგებს.

ხავიერ ტებასი, ესპანეთის პრიმერა დივიზიონის პრეზიდენტი:

— ეს სიგიჟეა და ძალიან სერიოზული პრობლემა. ულტრასების ძალმომრეობის წინააღმდეგ ძლიერები უნდა ვიყოთ. არ უნდა დავნებდეთ და ყველაფერი გავაკეთოთ ამის სამუდამოდ ამოსაძირკვად. რუსები არ უნდა ჩამოსულიყვნენ ბილბაოში, სახლში უნდა დარჩენილიყვნენ. მათი აქ ჩამოსვლა კარგს არაფერს მოასწავებდა. ყველაზე უარესი მოხდა — ადამიანი გარდაიცვალა.

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ სადაც სპარტაკის გულშემატკივრები მიდიან, ყველგან ჩხუბია. მიუნხენის აეროპორტში დააპატიმრეს ძებნაში მყოფი 31 წლის ქომაგი მამაკაცი, რომელიც ბილბაოში მიფრინავდა სპარტაკის მხარდასაჭერად. მან 2016 წელს მარსელში ევროპირველობაზე 51 წლის ინგლისის მოქალაქეს თავი გაუტეხა და ახლა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სპარტაკის ფანებმა მისთვის ადვოკატის დასაქირავებლად ფულის შეგროვება დაიწყეს, გერმანიაში რუსეთის საელჩომ კი თავიანთი მოქალაქის დაპატიმრება და საფრანგეთისთვის გადაცემა გააპროტესტა.

**მ. ჟ.**

# მანჩესტერში ჩელსის ელიან

## სტატისტიკა, ფსონები



უქმეების გამორჩეული მატჩი მანჩესტერშია, სადაც იუნაიტედთან სათამაშოდ ლონდონის ჩელსი ჩადის. ამ გუნდების ჯახი ყოველთვის გამოირჩევა დაძაბულობითა და პრინციპულობით. პლუს, ორივე გუნდი პრემიერლიგაში ისე ვერ გამოიყურება, როგორც ელოდნენ და გულშემატკივრების წინაშე თავის შეცხვენა არ სურთ. საინტერესო მატჩებია სხვა ქვეყნებშიც: სევილია-ატლეტიკო (ესპანეთი), რომა-მილანი (იტალია) და ლევერკუზენი-შალკე (გერმანია).

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.02 ლესტერი-სტოკი | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 24.02 ვესტ ბრომვიჩი-ჰადერსფილდი | 1.95 | 3.1 | 4.4 |
| 24.02 ბორნმუთი-ნიუკასლი | 2.05 | 3.3 | 3.7 |
| 24.02 ბარნლი-საუთჰემპტონი | 2.62 | 3.1 | 2.75 |
| 24.02 ბრაიტონი-სუონსი | 2.1 | 3.0 | 3.8 |
| 24.02 ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 24.02 უოტფორდი-ევერტონი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 25.02 კრ.პალასი-ტოტენჰემი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 26.02 მანჩესტერი-ჩელსი | 2.3 | 3.1 | 3.3 |

**ლესტერი-სტოკი**

ლესტერი: ტრავმ-შინჯი ოკაზაკი

სტოკი: ტრავმ-პიტერ კრაუჩი

ვესტ ბრომვიჩი-ჰადერსფილდი

ვესტ ბრომვიჩი: ტრავმ-დანიელ სტარიჯი, ჰალ რობსონ-კანუ, ჯეკ ლივერმური, ჯეიმს მორისონი, ნასერ ჩადლი

ჰადერსფილდი: ტრავმ-აარონ მოი, მაიკლ ჰეფელე, ელიას კაჩუნგა

**ბორნმუთი-ნიუკასლი**

ბორნმუთი: ტრავმ-ჯერმეინ დეფო, ტაირონ მინგსი

ნიუკასლი: ტრავმ-კირონ კლარკი, ხესუს გამესი

**ბარნლი-საუთჰემპტონი**

ბარნლი: ტრავმ-ფილიპ ბიორდსლი, სტივენ დეფო, ჯეიმს ტარკოვსკი, ჯონათან უოლტერსი, კრის ვუდი, რობი ბრეიდი, ტომ ჰატონი

საუთჰემპტონი: ტრავმ-ჩარლი ოსტინი

**ბრაიტონი-სუონსი**

ბრაიტონი: ტრავმ-არავინ

სუონსი: ტრავმ-ლეროი ფერი, ვილფრედ ბონი, ანგელ რანგელი, რენატო სანჩესი

**ლივერპული-ვესტ ჰემი**

ლივერპული: ტრავმ-არავინ

ვესტ ჰემი: ტრავმ-პედრო ობიანგი, ანდი კეროლი, უინსტონ რიდი, ედმილსონ ფერნანდესი

**უოტფორდი-ევერტონი**

უოტფორდი: ტრავმ-კრისტიან კაბასელე, ტომ კლევერლი, მოლა ვოგი, კიკო ფემენია, ვილ ჰუგესი, მიგელ ბრიტოსი, ნათან ჩალობა

ევერტონი: ტრავმ-სიმუს კოლემანი, ელიაქუიმ მანგალა, ჯეიმს მაკკარტნი, ლეიტონ ბაინესი

**კრ.პალასი-ტოტენჰემი**

კრ.პალასი: ტრავმ-ვილფრედ ზაჰა, ჯულიან სპერონი, ბაკარი საკო, სკოტ დანი, ჯეისონ პუნჩეონი, ჯეფ შლუპი

ტოტენჰემი: ტრავმ-მიშელ ვორმი

**მანჩესტერი-ჩელსი**

მანჩესტერი: ტრავმ-მარუან ფელაინი, დეილი ბლინდი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ჩელსი: ტრავმ-დავიდ ლუიზი, როს ბარკლი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 23 | 3 | 1 | 79-20 | 72 |
| 2.მანჩესტერი | 27 | 17 | 5 | 5 | 51-19 | 56 |
| 3.ლივერპული | 27 | 15 | 9 | 3 | 61-31 | 54 |
| 4.ჩელსი | 27 | 16 | 5 | 6 | 49-23 | 53 |
| 5.ტოტენჰემი | 27 | 15 | 7 | 5 | 52-24 | 52 |
| 6.არსენალი | 27 | 13 | 6 | 8 | 51-36 | 45 |
| 7.ბარნლი | 27 | 9 | 9 | 9 | 21-24 | 36 |
| 8.ლესტერი | 27 | 9 | 8 | 10 | 39-40 | 35 |
| 9.ევერტონი | 27 | 9 | 7 | 11 | 32-46 | 34 |
| 10.ბორნმუთი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-41 | 31 |
| 11.უოტფორდი | 27 | 8 | 6 | 13 | 37-47 | 30 |
| 12.ვესტ ჰემი | 27 | 7 | 9 | 11 | 34-46 | 30 |
| 13.ნიუკასლი | 27 | 7 | 7 | 13 | 25-36 | 28 |
| 14.ბრაიტონი | 27 | 6 | 10 | 11 | 22-36 | 28 |
| 15.კრ.პალასი | 27 | 6 | 9 | 12 | 25-42 | 27 |
| 16.სუონსი | 27 | 7 | 6 | 14 | 20-37 | 27 |
| 17.ჰადერსფილდი | 27 | 7 | 6 | 14 | 23-47 | 27 |
| 18.საუთჰემპტონი | 27 | 5 | 11 | 11 | 28-40 | 26 |
| 19.სტოკი | 27 | 6 | 7 | 14 | 27-53 | 25 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 3 | 11 | 13 | 21-40 | 20 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.02 სელტა-ეიბარი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 24.02 რეალი-ალავესი | 1.12 | 8.5 | 19.0 |
| 24.02 ლეგანესი-ლას პალმასი | 1.85 | 3.4 | 4.4 |
| 24.02 ბარსელონა-ხირონა | 1.14 | 8.5 | 15.0 |
| 25.02 ვილიარეალი-ხეტაფე | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 25.02 ბილბაო-მალაგა | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 25.02 ვალენსია-სოსიედადი | 1.7 | 4.0 | 4.5 |
| 25.02 სევილია-ატლეტიკო | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 26.02 ლევანტე-ბეტისი | 2.4 | 3.5 | 2.8 |

**სელტა-ეიბარი**

სელტა: ტრავმ-არავინ

ეიბარი: ტრავმ-სერხი ენრიხი

რეალი-ალავესი

რეალი: ტრავმ-ხესუს ვალიეხო

ალავესი: ტრავმ-კარლოს ვიგარაი, ექტორი

**ლეგანესი-ლას პალმასი**

ლეგანესი: ტრავმ-ალექსანდერ შიმანოვსკი

ლას პალმასი: ტრავმ-არავინ

**ბარსელონა-ხირონა**

ბარსელონა: ტრავმ-ტომას ვერმალენი

ხირონა: ტრავმ-არავინ

**ვილიარეალი-ხეტაფე**

ვილიარეალი: ტრავმ-სამუ, რუბენ სემედო, ნიკოლა სანსონე, ანდრეს ფერნანდესი

ხეტაფე: ტრავმ-მარკელ ბერგარა

**ბილბაო-მალაგა**

ბილბაო: ტრავმ-მიკელ ბალენზიაგა, იკერ მუნიანი

მალაგა: ტრავმ-ადალბერტო პენარანდა, ხუანკარი

**ვალენსია-სოსიედადი**

ვალენსია: ტრავმ-ანდრეს პერეირა, ეზეკიელ გარაი

სოსიედადი: ტრავმ-ვილიამ ხოსე

**სევილია-ატლეტიკო**

სევილია: ტრავმ-არავინ

ატლეტიკო: ტრავმ-სტეფან სავიჩი

**ლევანტე-ბეტისი**

ლევანტე: ტრავმ-ჯეფერსონ ლერმა, რაული, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

ბეტისი: ტრავმ-სუჰარ ფედალი, ანტონიო სანაბრია, ჯოელ კემბელი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 19 | 5 | 0 | 62-11 | 62 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 16 | 7 | 1 | 36-9 | 55 |
| 3.რეალი | 24 | 14 | 6 | 4 | 58-27 | 48 |
| 4.ვალენსია | 24 | 14 | 4 | 6 | 47-28 | 46 |
| 5.სევილია | 24 | 12 | 3 | 9 | 31-35 | 39 |
| 6.ვილიარეალი | 24 | 11 | 5 | 8 | 35-29 | 38 |
| 7.ეიბარი | 24 | 10 | 5 | 9 | 32-36 | 35 |
| 8.ხირონა | 24 | 9 | 7 | 8 | 34-30 | 34 |
| 9.ხეტაფე | 24 | 8 | 9 | 7 | 29-21 | 33 |
| 10.ბეტისი | 24 | 10 | 3 | 11 | 41-50 | 33 |
| 11.სელტა | 24 | 9 | 5 | 10 | 41-37 | 32 |
| 12.სოსიედადი | 24 | 8 | 5 | 11 | 46-45 | 29 |
| 13.ლეგანესი | 24 | 8 | 5 | 11 | 21-28 | 29 |
| 14.ბილბაო | 24 | 6 | 10 | 8 | 24-27 | 28 |
| 15.ალავესი | 24 | 9 | 1 | 14 | 22-33 | 28 |
| 16.ესპანიოლი | 24 | 6 | 9 | 9 | 22-32 | 27 |
| 17.ლევანტე | 24 | 3 | 11 | 10 | 21-38 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 24 | 5 | 3 | 16 | 18-52 | 18 |
| 19.დეპორტივო | 24 | 4 | 5 | 15 | 24-53 | 17 |
| 20.მალაგა | 24 | 3 | 4 | 17 | 15-38 | 13 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.02 ბაიერნი-ჰერტა | 1.17 | 7.5 | 15.0 |
| 24.02 ჰანოვერი-გლადბახი | 2.5 | 3.5 | 2.6 |
| 24.02 შტუტგარტი-აინტრახტი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 24.02 ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 24.02 ვერდერი-ჰამბურგი | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 25.02 ლევერკუზენი-შალკე | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 25.02 ლაიპციგი-კიოლნი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 26.02 დორტმუნდი-აუგსბურგი | 1.5 | 4.3 | 6.5 |

**ბაიერნი-ჰერტა**

ბაიერნი: ტრავმ-მანუელ ნოიერი

ჰერტა: ტრავმ-ონდრეი დუდა, ქარიმ რეკიკი

**ჰანოვერი-გლადბახი**

ჰანოვერი: ტრავმ-ვალდემარ ანტონი, ჯონატასი, ფელიპე

გლადბახი: ტრავმ-ოსკარ ვებდტი, ფაბიან ჯონსონი, იბრაჰიმა ტრაორე

**შტუტგარტი-აინტრახტი**

შტუტგარტი: ტრავმ-ებენეზერ ოფორი, მატიას ციმერმანი

აინტრახტი: ტრავმ-არავინ

**ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი**

ჰოფენჰაიმი: ტრავმ-სტეფან პოში, დენის გეიგერი, ნიკო შულცი, კერემ დემირბეი, ფელიქს პასლაკი

ფრაიბურგი: ტრავმ-იორიკ რავე, მიკელ ფრანცი,ფლორიან ნიდელლეჰნერი

**ვერდერი-ჰამბურგი**

ვერდერი: ტრავმ-ზლატკო იუნუზოვიჩი, ლამინე სანე, ფინ ბარტელსი

ჰამბურგი: ტრავმ-ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი

**ლევერკუზენი-შალკე**

ლევერკუზენი: ტრავმ-ჯონათან ტა, სვენ ბენდერი

შალკე: ტრავმ-ვესტონ მაკკეინი

**ლაიპციგი-კიოლნი**

ლაიპციგი: ტრავმ-მარსელ ჰალსტენბერგერი

კიოლნი: ტრავმ-კრისტიან კლემენსი, ტიმ ჰანდვერკერი, ლეონარდო ბიტენკურტი

**დორტმუნდი-აუგსბურგი**

დორტმუნდი: ტრავმ-შინჯი კაგავა, რაფაელ გერერო, ანდრეი იარმოლენკო, მაქსიმილიან ფილიპი

აუგსბურგი: ტრავმ-მარკო რიხტერი, დანიელ ოპარე, ალფრედ ფინბოგასონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 19 | 2 | 2 | 55-18 | 59 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 11 | 7 | 5 | 48-29 | 40 |
| 3.აინტრახტი | 23 | 11 | 6 | 6 | 32-26 | 39 |
| 4.ლევერკუზენი | 23 | 10 | 8 | 5 | 43-30 | 38 |
| 5.ლაიპციგი | 23 | 11 | 5 | 7 | 36-31 | 38 |
| 6.შალკე | 23 | 10 | 7 | 6 | 36-30 | 37 |
| 7.ჰანოვერი | 23 | 8 | 8 | 7 | 32-33 | 32 |
| 8.აუგსბურგი | 23 | 8 | 7 | 8 | 32-29 | 31 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 23 | 8 | 7 | 8 | 37-37 | 31 |
| 10.გლადბახი | 23 | 9 | 4 | 10 | 30-35 | 31 |
| 11.ჰერტა | 23 | 7 | 9 | 7 | 30-30 | 30 |
| 12.ფრაიბურგი | 23 | 6 | 10 | 7 | 24-37 | 28 |
| 13.შტუტგარტი | 23 | 8 | 3 | 12 | 19-27 | 27 |
| 14.ვოლფსბურგი | 23 | 4 | 12 | 7 | 26-30 | 24 |
| 15.ვერდერი | 23 | 5 | 8 | 10 | 21-28 | 23 |
| 16.მაინცი | 23 | 6 | 5 | 12 | 28-41 | 23 |
| 17.ჰამბურგი | 23 | 4 | 5 | 14 | 18-34 | 17 |
| 18.კიოლნი | 23 | 3 | 5 | 15 | 20-42 | 14 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.02 ბოლონია-ჯენოა | 1.62 | 3.1 | 2.8 |
| 24.02 ინტერი-ბენევენტო | 1.22 | 6.5 | 12.0 |
| 25.02 კროტონე-სპალი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 25.02 სასუოლო-ლაციო | 4.2 | 2.75 | 1.8 |
| 25.02 სამპდორია-უდინეზე | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 25.02 ფიორენტინა-კიევო | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 25.02 ვერონა-ტორინო | 4.5 | 3.75 | 1.75 |
| 25.02 იუვენტუსი-ატალანტა | 1.4 | 4.4 | 8.5 |
| 25.02 რომა-მილანი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 26.02 კალიარი-ნაპოლი | 8.5 | 4.8 | 1.36 |

**ბოლონია-ჯენოა**

ბოლონია: ტრავმ-ანტონიო მირანტე, სებასტიან დე მაიო, სიმონე ვერდი, ფილიპ ჰელანდერი

ჯენოა: ტრავმ-პეტარ ბრლეკი, სანტიაგო ჯენტილეტი, არმანდო იზზო, ალეანდრო როსი, ადელ ტაარაბტი, მიგელ ველოსო, ჯუზეპე როსი

**ინტერი-ბენევენტო**

ინტერი: ტრავმ-მირანდა, ედერი, ივან პერიშიჩი, დანილო ამბროზინი, მარსელო ბროზოვიჩი, მაურო იკარდი

ბენევენტო: ტრავმ-დანილო კატალდი, ანდრეა კოსტა, ლუკა ანტეი

**კროტონე-სპალი**

კროტონე: ტრავმ-ფედერიკო კეჩერინი, მარკო კაპუანო, როლანდო მანდრაგორა, მარიო სამპრისი, ადრიან სტოიანი, მარკო ტუმინელო

სპალი: ტრავმ-პასკუალე კიტარელა, ფელიპე, ერის სკიავონი, მარკო ბორიელო

**სასუოლო-ლაციო**

სასუოლო: ტრავმ-დომენიკო ბერარდი, ტიმო ლეხტერი

ლაციო: ტრავმ-არავინ

**სამპდორია-უდინეზე**

სამპდორია: ტრავმ-ბარტოშ ბერეჟინსკი, ედგარ ბარეტო, ლუკას ტორეირა, დნის პრაეტი

უდინეზე: ტრავმ-კევინ ლასანგა, ანტონინ ბარაკი

**ფიორენტინა-კიევო**

ფიორენტინა: ტრავმ-ფედერიკო კიეზა, მილან ბადელი, კრისტიანო ბირაგი, ვინსენტ ლორინი

კიევო: ტრავმ-მეჰდი ლერისი, ნენად ტომოვიჩი

**ვერონა-ტორინო**

ვერონა: ტრავმ-რომულო, ალექს ფერარი, მოჰამედ ფარესი, ანტინიო კარაკიოლო, ალესიო ჩერჩი

ტორინო: ტრავმ-ნიკოლას ბურდისო, ტომას რინკონი, მბიაე ნიანგი

**იუვენტუსი-ატალანტა**

იუვენტუსი: ტრავმ-მარიო მანჯუკიჩი, ანდრეა ბარძალი, შტეფან ლიხშტეინერი, ალექს სანდრო, მეჰდი ბენატია, გონსალო იგუაინი, ბლეზ მატუიდი, ხუან კუადრადო

ატალანტა: ტრავმ-რაფაელ ტოლოი, ლუკა რიცო

**რომა-მილანი**

რომა: ტრავმ-მაქსიმ გონალონსი

მილანი: ტრავმ-ნიკოლა კალინიჩი, ანდრეა კონტი

**კალიარი-ნაპოლი**

კალიარი: ტრავმ-ნიკოლო ჯიანეტი, ფილიპო რომანა, ლუკა გიგარინი, ლუკა ჩეპიტელი

ნაპოლი: ტრავმ-მარიო რუი, ვლად კირიკეში, არკადიუშ მილიკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 25 | 21 | 3 | 1 | 55-15 | 66 |
| 2.იუვენტუსი | 25 | 21 | 2 | 2 | 62-15 | 65 |
| 3.რომა | 25 | 15 | 5 | 5 | 40-19 | 50 |
| 4.ლაციო | 25 | 15 | 4 | 6 | 61-33 | 49 |
| 5.ინტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 40-21 | 48 |
| 6.სამპდორია | 25 | 12 | 5 | 8 | 44-33 | 41 |
| 7.მილანი | 25 | 12 | 5 | 8 | 35-30 | 41 |
| 8.ატალანტა | 25 | 10 | 8 | 7 | 37-29 | 38 |
| 9.ტორინო | 25 | 8 | 12 | 5 | 35-30 | 36 |
| 10.უდინეზე | 25 | 10 | 3 | 12 | 36-36 | 33 |
| 11.ფიორენტინა | 25 | 8 | 8 | 9 | 34-32 | 32 |
| 12.ჯენოა | 25 | 8 | 6 | 11 | 21-25 | 30 |
| 13.ბოლონია | 25 | 9 | 3 | 13 | 31-38 | 30 |
| 14.კიევო | 25 | 6 | 7 | 12 | 23-42 | 25 |
| 15.კალიარი | 25 | 7 | 4 | 14 | 23-36 | 25 |
| 16.სასუოლო | 25 | 6 | 5 | 14 | 15-43 | 23 |
| 17.კროტონე | 25 | 5 | 6 | 14 | 21-44 | 21 |
| 18.სპალი | 25 | 3 | 8 | 14 | 23-47 | 17 |
| 19.ვერონა | 25 | 4 | 4 | 17 | 22-50 | 16 |
| 20.ბენევენტო | 25 | 3 | 1 | 21 | 18-58 | 10 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.02 ტულუზა-მონაკო | 4.0 | 3.5 | 1.91 |
| 24.02 გენგამი-მეცი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 24.02 ლილი-ანჟე | 2.3 | 3.2 | 3.3 |
| 24.02 ნანტი-ამიენი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 24.02 რენი-ტრუა | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 24.02 დიჟონი-კაენი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 25.02 ბორდო-ნიცა | 2.1 | 3.2 | 3.75 |
| 25.02 ლიონი-სტ.ეტიენი | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 25.02 პსჟ-მარსელი | 1.22 | 6.5 | 11.0 |

**ტულუზა-მონაკო**

ტულუზა: ტრავმ-სომალია

მონაკო: ტრავმ-რადამელ ფალკაო, ადამა ტრაორე

**გენგამი-მეცი**

გენგამი: ტრავმ-ჯერემი სორბონი, ჯონათან პერეირა, აბდულ კამარა

მეცი: ტრავმ-მილან ბიშევაჩი, ბენუა ასოუ-ეკოტო, ტომას დიდილონი, კაფუ, მეტიუ უდოლი

**ლილი-ანჟე**

ლილი: ტრავმ-კევინ მალკო

ანჟე: ტრავმ-არავინ

**ნანტი-ამიენი**

ნანტი: ტრავმ-იანიკ ბომო, კალიფა კულიბალი

ამიენი: ტრავმ-გუსუმა ფოფანა, სერჟ გაკპე

**რენი-ტრუა**

რენი: ტრავმ-ბენჯამინ ანდრე, ლუდოვიკ ბაალი

ტრუა: ტრავმ-ჰიუნ ჯუნ სუკი, ტრისტან დინომე

**დიჟონი-კაენი**

დიჟონი: ტრავმ-ფრედერიკ სამარიტანო, ჯორდან მარიე, ხეკა

კაენი: ტრავმ-ვინსენტ ბესა, ადამა მბენგუე

**ბორდო-ნიცა**

ბორდო: ტრავმ-ალექსანდერ მენდი, იგორ ლევჩუკი

ნიცა: ტრავმ-მარიონი, კრისტოფერ ჟალე, მაქსიმ ლე მარჩანდი

**ლიონი-სტ.ეტიენი**

ლიონი: ტრავმ-რაფაელი

სტ.ეტიენი: ტრავმ-ჩეიკ მბენგუე, პიერ გაბრიელი

**პსჟ-მარსელი**

პსჟ: ტრავმ-ტიაგო მოტა

მარსელი: ტრავმ-გრეგუარ სერტიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 22 | 2 | 2 | 81-19 | 68 |
| 2.მონაკო | 26 | 17 | 5 | 4 | 64-26 | 56 |
| 3.მარსელი | 26 | 16 | 7 | 3 | 56-29 | 55 |
| 4.ლიონი | 26 | 14 | 7 | 5 | 56-32 | 49 |
| 5.ნანტი | 26 | 11 | 6 | 9 | 27-27 | 39 |
| 6.მონპელიე | 26 | 9 | 11 | 6 | 24-21 | 38 |
| 7.რენი | 26 | 10 | 5 | 11 | 32-35 | 35 |
| 8.ბორდო | 26 | 10 | 5 | 11 | 32-35 | 35 |
| 9.ნიცა | 26 | 10 | 5 | 11 | 32-38 | 35 |
| 10.გენგამი | 26 | 9 | 7 | 10 | 26-33 | 34 |
| 11.სტ.ეტიენი | 26 | 9 | 6 | 11 | 27-40 | 33 |
| 12.კაენი | 26 | 9 | 5 | 12 | 20-30 | 32 |
| 13.დიჟონი | 26 | 9 | 5 | 12 | 36-52 | 32 |
| 14.სტრასბური | 26 | 8 | 6 | 12 | 32-47 | 30 |
| 15.ტრუა | 26 | 8 | 4 | 14 | 24-34 | 28 |
| 16.ტულუზა | 26 | 7 | 6 | 13 | 22-33 | 27 |
| 17.ლილი | 26 | 7 | 6 | 13 | 25-41 | 27 |
| 18.ამიენი | 26 | 7 | 5 | 14 | 22-30 | 26 |
| 19.ანჟე | 26 | 5 | 10 | 11 | 27-39 | 25 |
| 20.მეცი | 26 | 5 | 3 | 18 | 23-47 | 18 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*




ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლის ფლეიტის კლასის პედაგოგს, ბატონ

**ზაქარია პირმისაშვილს**



ბატონო ზაქრო, სულითა და გულით გილოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობასა და დღეგრძელობას თქვენი მოსწავლეებისა და ყველა თქვენი კეთილის მსურველის გულის გასახარებლად.

*ულრმესი პატივისცემით, №19 ხელოვნების სკოლის დირექცია და პედკოლექტივი*



TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 26 თებერვალი

